# სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი მოსაზრებები ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ● კანონის უზენაესობის ცენტრი ● უფლებები საქართველო ● პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის ● ადამიანის უფლებათა ცენტრი ● ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) - საქართველო ● ღია სივრცე კავკასია (COS) ● დემოკრატიისა და მმართველობის ცენტრი ● თანასწორობის მოძრაობა ● ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) ● თანასწორობა 17 ● თბილისი პრაიდი ● ქვიარ ასოციაცია - თემიდა ● ასოციაცია ანიკა ● ასოციაცია ,,დეა" ● საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია ● თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის ● ფსიქიატრიის სერვისის მომხმარებელთა და გადარჩენილთა საქართველოს ქსელი ● საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია ● კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ● სოლიდარობის თემი ● ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ (FAD) ● ა/ო „ვიმეგობროთ“ ●მოძრაობა „ინკლუზიური საზოგადოება საქართველო“

31 ივლისი, 2023

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, წარმოადგინოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხედვა იმ აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც მიზანშეწონილია ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებისთვის.

ამავდროულად, დოკუმენტის შესავალი ნაწილი მიზნად ისახავს, ასევე, წარმოადგინოს ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ქრონოლოგიასა და თანმხლებ მოვლენებთან დაკავშირებით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციები ჯერ კიდევ 2023 წლის თებერვალში აცხადებდნენ მზაობას, კოორდინირებულად წარედგინათ წერილობითი მოსაზრებები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთვის (შემდეგში 'სამდივნო'), თუმცა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" ინიცირებული კანონპროექტი შეუძლებელს ხდიდა სტრატეგიით დასახული და სამოქმედო გეგმით გასათვალისწინებელი ნებისმიერი ამოცანის/აქტივობის ეფექტიან შესრულებას.

ამის გამო, **2023 წლის 28 თებერვალს სამოქალაქო საზოგადოების 50-ზე მეტმა ორგანიზაციამ წერილი გაუგზავნა სამდივნოს, რომელშიც დადასტურდა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრებების მომზადებისა და კოორდინირებულ ფორმატში წარმოდგენის სურვილი. თუმცა, ამავე წერილში ხაზგასმით აღინიშნა, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტების ინიცირების გამო, მზარდი კონტროლის, შევიწროებისა და რეპრესიების უკვე არსებული რუსული გამოცდილების გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო ამ ორი პროცესის პარალელური თანაარსებობა.** ამასთან, ხელმომწერი ორგანიზაციები მოუწოდებდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, ბ-ნ ნიკო თათულაშვილს, საჯაროდ დაეფიქსირებინა პოზიცია კანონპროექტთან დაკავშირებით, და, შეხვედროდა ორგანიზაციებს პირად ფორმატში. აღნიშნულ წერილზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სამდივნოსგან უკუკავშირი არ მიუღიათ.

2023 წლის 19 მარტს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა **მე-2 წერილი** გაუგზავნეს სამდივნოს. წერილში მათ გამოხატეს პოზიცია, რომ, მიუხედავად კანონპროექტების გაწვევისა, უფლებადამცველების მიმართ დამაკნინებელი და სიძულვილის ენის გამოყენება და სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შევიწროების ნებისმიერი მცდელობა (ხსენებული კანონპროექტების თუ სხვა საკანონმდებლო ან პრაქტიკული გამოვლინების სახით) ევროკავშირის ძირეულ ფასეულობებს დაუპირისპირდება, იქნება კანდიდატის სტატუსის მიღების საბოტაჟი და კონსტიტუციის 78-ე მუხლის საწინააღმდეგო ქმედება.

ამავე წერილში ხაზგასმული იყო, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა წარმოადგინონ იმ ადამიანების ხმა, რომელთა ინტერესებს სხვადასხვა სამართლებრივი გზითა თუ სერვისის მიწოდებით, წლებია იცავენ. განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი უფლებრივი ჯგუფი საერთოდ არ არის სტრატეგიაში ნახსენები.

**სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია, არსებობდეს რეალური, ხელშესახები შესაძლებლობა, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები გაითვალისწინებენ შემოთავაზებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ექნება ფიქციური ხასიათი და იგი ვერ უზრუნველყოფს იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ინკლუზიური პროცესების არსებობა ემსახურება.**

ამ მხრივ, სამდივნოს წერილობით ეთხოვა, ეცნობებინა:

i. რა ვადებში იგეგმება ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავება?
ii. შეიმუშავა თუ არა სამდივნომ ფორმალური წესი, რომელიც განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის შემუშავების ორგანიზებას და ვადებს? როდის იგეგმება სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან?
iii. რომელი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით იგეგმება სამოქმედო გეგმის შემუშავება? გათვალისწინებულია თუ არა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის ფორმატი?

აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იყო/არის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანად დასაგეგმად, მათ შორის, მოსაზრებების წარმოდგენის თვალსაზრისით. არც ამ წერილზე უკუკავშირი სამდივნოსგან არ ყოფილა.

2023 წლის 6 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით და ფასილიტაციით გაიმართა შეხვედრა ადამიანის უფლებების საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველ ნიკო თათულაშვილსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრა მიზნად ისახავდა მთავრობის ადმინისტრაციასა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას, ძირითადად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯეროვანი ჩართულობის უზრუნველყოფის საჭიროების მიმართულებით.

შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გააჟღერეს ის საკვანძო წუხილები, რომლებიც ქვეყანაში უფლებრივი მდგომარეობის

გაუარესებას ეხება, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შევიწროების პრაქტიკებს. ზემოთ ხსენებული შეკითხვები შეხვედრაზეც დაისვა, თუმცა, მათზე კონკრეტული პასუხები, სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის სამოქალაქო საზოგადოებისთვის უცნობია.

2023 წლის 29 ივნისს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გამართეს პრეს-კონფერენცია, რომელზეც საჯაროდ მიმართეს სამდივნოს და გააცხადეს თავიანთი მზაობა, წარმოადგინონ მოსაზრებები. მიმართვის ტექსტი იხ. ქვემოთ:

*„ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საჯაროდ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობის ფორმატი.*

*სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ყველა ეტაპზე გამოხატავდნენ/გამოხატავენ მზაობას, წვლილი შეიტანონ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ეს დასტურდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან 2023 წლის 28 თებერვლისა და 19 მარტის წერილობითი კომუნიკაციით. თუმცა, გვჯერა, რომ აღნიშნული ჩართულობა უნდა იყოს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის თანმხლები პროცესი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მტრული პროცესების ინიცირების/წახალისების პარალელურად, ნებისმიერი ჩართულობა ფიქციური, მოჩვენებითია. ნიშანდობლივია, ასევე, ის, რომ თავად სტრატეგია დაინტერესებულ მხარეებთან ჯეროვანი განხილვის გარეშე დამტკიცდა.*

*ჩვენ გვჯერა, რომ ჭეშმარიტად ინკლუზიური პროცესი შექმნის უკეთეს სამოქმედო გეგმას, რომელიც სარგებელს მოუტანს თითოეულ ადამიანს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების ზოგიერთი განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფი, მათ შორის ლგბტქი ადამიანები, და მათი საჭიროებები საერთოდ არ არის სტრატეგიაში ნახსენები.*

*ამასთან, სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებისა საკითხებში ევროკომისრის 2023 წლის 22 ივნისის ზეპირ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა განაახლოს კონსტრუქციული დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან და განახორციელოს რეგულარული და გამჭვირვალე კონსულტაციები. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ჩვენი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, საქმიანობის მთავარი მიზანი კანდიდატის სტატუსის მოპოვებისთვის მაქსიმალური ძალისხმევის გაწევაა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის 31 ივლისს გამოვაქვეყნებთ მოსაზრებებს, რომელთა გათვალისწინებაც ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის*

*შემუშავების პროცესში დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია.*

*ამავდროულად, მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას:*

*- შეწყვიტოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შემავიწროებელი პრაქტიკა და არ დაუპირისპირდეს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით განსაზღვრულ ღირებულებათა წესრიგს;*

*- უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობის ფორმატი.“*

შესაბამისად, წინამდებარე მოსაზრებები ქვეყნდება როგორც საჯაროდ, ასევე, წერილობით წარედგინება სამდივნოს 2023 წლის 31 ივლისს. თუმცა, ცხადია, აღნიშნული მოსაზრებები დარჩება მხოლოდ ფაკულტატური ბუნების მქონე დოკუმენტად თუკი სახელმწიფოს მხრიდან არ გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022-2030 წლებისთვის) აღსრულების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯეროვანი ჩართულობისთვის.

**ამასთან, გარდა დოკუმენტში ადამიანის უფლებათა საკითხებზე წარმოდგენილი მოსაზრებებისა, მიგვაჩნია, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეასრულოს ევროკომისიის 12-ვე პირობა, მათ შორის, ჩართოს სამოქალაქო საზოგადოება გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა დონეზე და უზრუნველყოს ინკლუზიური პროცესი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.**

## სარჩევი


**შესავალი** ..... 2

**პრიორიტეტი I – მართლმსაჯულების, სამართლის უზენაესობის პრინციპების, ინსტიტუციური დემოკრატიის გამყარება და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა** ..... 8

**ადამიანის უფლებათა დაცვა მართლმსაჯულების განხორციელებისას** ..... 8

**მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებები** ..... 17

**წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა** ..... 24

**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და პერსონალური მონაცემების დაცვა** ... 29

**სიტყვის, მედიისა და გამოხატვის თავისუფლება** ..... 36

**მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება** ..... 37

**რელიგიისა და რწმენის თავისუფლება** ..... 40

**პრიორიტეტი II - ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის გაძლიერება და ამისთვის სისტემური გარანტიების გაუმჯობესება** ..... 41

**ჯანმრთელობის უფლება** ..... 41

**განათლების ხელმისაწვდომობა** ..... 42

**შრომის უფლებები** ..... 44

**საკუთრების უფლება** ..... 46

**გარემოს დაცვის უფლება** ..... 47

**ბიზნესი და ადამიანის უფლებები** ..... 54

**პრიორიტეტი III - თანასწორობის კონსტიტუციური გარანტიების ასახვა სახელმწიფო პოლიტიკაში და მათი დანერგვა პრაქტიკაში და ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე** ..... 55

**თანასწორობისა და უმცირესობათა უფლებები** ..... 55

**ბავშვის უფლებები** ..... 62

**გენდერული თანასწორობა, ქალთა უფლებები და ბრძოლა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ** ..... 63

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები** ..... 67

**ხანდაზმულ პირთა უფლებები** ..... 69

**საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების დაცვა** ..... 70

**პრიორიტეტი IV - რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა** ..... 77

**საოკუპაციო ხაზის მიმდებარე / კონფლიქტის რეგიონების სოფლებში მცხოვრებ პირთა უფლებები** ..... 77

**V. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სტრატეგიაში** ..... 78

**უსახლკარობის პრევენცია** ..... 78

**ლგბტქი საკითხები ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმაში** ..... 79

## პრიორიტეტი I – მართლმსაჯულების, სამართლის უზენაესობის პრინციპების, ინსტიტუციური დემოკრატიის გამყარება და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა

---

### ადამიანის უფლებათა დაცვა მართლმსაჯულების განხორციელებისას

**ამოცანა 1**

სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების განგრძობადი გაუმჯობესება, მათ შორის, სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდის გზით.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ძალადობის მსხვერპლი ქალები, არასრულწლოვნები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების გზით, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის (ოჯახური დანაშაულის) დაზარალებულ ქალზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მაქსიმალურად შესამცირებლად ან/და მისი მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად, შესაძლებელი გახდეს, კონკრეტული საფუძვლის მითითებით, მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით, ბრალდების მხარის შუამდგომლობის ან/და დაზარალებულის მიმართვის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემის დროს ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის ან სხვა ალტერნატიული ზომის გამოყენების თაობაზე;

ii. ძალადობის მსხვერპლი ქალის მოძალადესთან ან/და მისი ოჯახის წევრებთან/ნათესავებთან საფრთხის შემცველი კომუნიკაციის თავიდან ასაცილებლად, სასამართლო შენობების აღჭურვა და ძველი ინფრასტრუქტურის გადახედვა/ადაპტირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო მოსაცდელი სივრცეები და სასამართლო სხდომის დარბაზში მოსახვედრი ალტერნატიული შესასვლელები;

iii. სასამართლოს მანდატურის სამსახურისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტის/სპეციალური ოპერაციული პროცედურების შექმნა ძალადობის მსხვერპლი ქალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე როგორც სასამართლოს შენობაში, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე;

iv. სასამართლოს შენობების უზრუნველყოფა დაზარალებულის დისტანციურად დაკითხვისთვის აუცილებელი სივრცით, რომელიც აღჭურვილი იქნება გამართული ტექნიკური ინფრასტრუქტურით;

v. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის ან და ოჯახში ძალადობის დაზარალებულის, მათ შორის, არასრულწლოვნების, ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვაზე ორიენტირებული გარემოს შექმნისა და უშუალოდ დაკითხვის მიმდინარეობის

დროს დაზარალებულის მატრავმირებელი, დამადანაშაულებელი და დისკრიმინაციული ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციისგან ეფექტიანად დაცვის მიზნით.

### დასაბუთება

შემოთავაზებული აქტივობები ეფუძნება „უფლებები საქართველოსა“ და საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის მიგნებებს,[1] რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში ჩატარებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს.

## ამოცანა 2

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

### თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა

ნებისმიერი პირი, რომელსაც შესაძლოა სახდელი დაეკისროს აღნიშნული კოდექსის საფუძველზე.

### აქტივობა/შინაარსი:

ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შემუშავება და მიღება, სახალხო დამცველის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა რელევანტური აქტორების ჩართულობით.ახალმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმა თავისი შინაარსით სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევების განხილვა/გადაწყვეტისათვის უნდა დაადგინოს სათანადო საპროცესო გარანტიები (მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილება, უტყუარი მტკიცებულებების, უდანაშაულობის პრეზუმფციის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი). ასევე, უნდა გადაიხედოს ადმინისტრაციული დაკავებისა და მისი კანონიერების შემოწმების არსებული წესი.

### დასაბუთება

ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შემუშავებასა და მიღებას წლების განმავლობაშია ითხოვს სამოქალაქო საზოგადოება.[2] საბჭოთა კავშირის პერიოდში მიღებული კოდექსი, მიუხედავად მასში განხორციელებული ცვლილებებისა, დიდწილად შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.

---

[1] სახალხო დამცველისა და „უფლებები საქართველოს“ სპეციალური ანგარიში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგი, 2021, ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/1lnUz53XATyjVUe950vr0oLToRNemJbsT/view, [25.07.2023].

[2] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოკლედ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის შესახებ, 2022, ხელმისაწვდომია: https://l1nq.com/pxx4a, [25.07.2023].

**ამოცანა 3**

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების დამატებითი ბარიერების გარეშე მონაწილეობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი შშმ პირთა პერსპექტივით;
ii. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაუქმება;
iii. პროფესიონალთა (გამომძიებლები, პროკურორები, ექსპერტები, ადვოკატები, მოსამართლეები) გადამზადება შშმ პირთა უფლებებში.

**დასაბუთება**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედი რედაქცია პრაქტიკაში მართლმსაჯულების მიღმა ტოვებს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებს, რაც ხშირად დაუსჯელს ტოვებს მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის პრობლემად აღიარება სახელმწიფოს მხრიდან, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პროფესიონალების გადამზადება.

**ამოცანა 4**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სპეციალიზებული სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და ექსპერტების მონაწილეობა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ბავშვები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების განხორციელება და სავალდებულო სპეციალიზაციის განსაზღვრა ბავშვთან შემხებლობაში მყოფი სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და ექსპერტებისათვის;
ii. სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

**დასაბუთება**

საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ მკაფიოდ არ განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და ექსპერტების სპეციალიზაციას, რაც განაპირობებს

განსხვავებული სასამართლო პრაქტიკის არსებობას, შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის ზიანის მიყენებას.

## ამოცანა 5

სამართლიანი, ჰუმანური, ერთიანი და ანალიზზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განგრძობადი უზრუნველყოფა; სისხლის სამართლის კანონმდებლობის ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა მათ შორის, სასჯელთა დივერსიფიცირების გზით.

### თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა

ადვოკატები, პროკურორები, გამომძიებლები, მოსამართლეები, პოლიციის მუშაკები, პროცესის მონაწილეები, მოქალაქეები

### აქტივობა/შინაარსი:

i. სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა (დისპოზიციები, სანქციები);
ii. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გადახედვა;
iii. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის გადახედვა;
iv. პოლიციის შესახებ კანონის გადახედვა;
v. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრაქტიკაში მოქმედების შეფასება და მისი გადახედვა.

### დასაბუთება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის დისპოზიცია არ ფარავს დანაშაულის ყველა ნიშანს, რაც საჭიროებს სრულყოფას. ამასთან, რამდენიმე მუხლი ფარავს ერთმანეთს და ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოება ერთმა გამომძიებელმა/პროკურორმა/მოსამართლემ შესაძლოა დააკვალიფიციროს ერთი მუხლით, ხოლო სხვამ - სხვა მუხლით. აღნიშნული იწვევს არაერთგვაროვან მიდგომას ერთი და იგივე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. ამასთან, შეუსაბამობაა სანქციებს შორის. უფრო მძიმე შედეგის მქონე დანაშაული ისჯება უფრო მსუბუქად, ვიდრე უფრო მსუბუქი შედეგის მქონე დანაშაული. შესაბამისად, საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ პირთა მიერ სახელდება არაერთი გამოწვევა, რომელიც არის სისხლის სამართლის პროცესში. საჭიროა პირველ ეტაპზე განხორციელდეს საჭიროებების ანალიზი (ადვოკატებთან, გამომძიებლებთან, პროკურორებთან და მოსამართლეებთან კოორდინაციის გზით), რომლის შემდგომ უნდა მომზადდეს საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები.

მოძველებულია კანონი ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. ამასთან, საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნის ფონზე, საჭიროა ამ კანონში გაწერილი ფუნქციების გამიჯვნაც გამომძიებელსა და პროკურორს შორის.

ასევე, მოძველებულია ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის ნორმების ნაწილი არის ზოგადი შინაარსის და იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, მათ შორის,

იძულებითი ღონისძიებების გამოყენების პროცესში. ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, საჭიროა მისი გადახედვა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ სისტემურად არ შეფასებულა კოდექსის ეფექტიანობა და ის გამოწვევები, რაც ამჟამად არსებობს. შესაბამისად, საჭიროა პირველ ეტაპზე განხორციელდეს საჭიროებების ანალიზი (ადვოკატებთან, გამომძიებლებთან, პროკურორებთან და მოსამართლეებთან კოორდინაციის გზით), რომლის შემდგომ უნდა მომზადდეს საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები.

## დანაშაულის პრევენციის მექანიზმის გაძლიერება, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა

**ამოცანა 1**

დანაშაულის პრევენციის მექანიზმების გაძლიერება, გამოძიების ხარისხის განგრძობადი გაუმჯობესება და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

i. დანაშაულის პრევენციის მექანიზმების გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, ერთიანი და მდგრადი პოლიტიკის დანერგვით;
ii. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დროული წარმოება
iii. გამომძიებლების კვალიფიკაციის ამაღლება სამედიცინო დავებთან დაკავშირებით.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. კრიმინოლოგიური კვლევის ჩატარება დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესახებ;
ii. კრიმინოლოგიური კვლევის ჩატარება ყველაზე გავრცელებული 5 დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესახებ;
iii. პრევენციული ღონისძიების დაგეგმვამდე მისი ეფექტიანობის კრიტერიუმების შემუშავება;
iv. პრევენციული ღონისძიების ჩატარების შემდგომ, მათი გავლენის/ეფექტიანობის შეფასება;
v. სისხლის სამართლის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და საზოგადოებისთვის მისი ხელმისაწვდომობა;
vi. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება, საზოგადოებისთვის მისი ხელმისაწვდომობა;
vii. საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხის გადახედვა და ქვემდებარეობის ხელახალი განსაზღვრა;
viii. კვლევის ჩატარება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარების შესახებ (ყოველწლიურად);
ix. შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც დაკომპლექტდება დამოუკიდებელი ექიმ-სპეციალისტებისგან და საჭიროების დროს მოახერხებს შესაბამისი სამედიცნო ცოდნისა და გამოცდილების მქონე ექსპერტების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის

მომზადებაში უმოკლეს ვადებში ჩართვას. ეს მოაგვარებს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის გაჭიანურებასთან დაკავშირებულ პრობლემებს;

x. ამაღლდეს გამოძიების ხარისხი გამომძიებლების ინტენსიური გადამზადებით, რათა მათ მიერ სამედიცინო დავებთან დაკავშირებული გამოძიების წარმოებისას თავიდან იყოს აცილებული ისეთი მასშტაბური შეცდომების დაშვება, როგორიც არის: საჭირო მოწმეების დაკითხვისგან თავის შეკავება, მნიშვნელოვანი შეკითხვების არასწორი ფორმულირებით დასმა და ა.შ.

## დასაბუთება

სისხლის სამართლის პოლიტიკა და დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებები არ ეფუძნება კრიმინოლოგიურ კვლევებს. ასევე, არ არსებობს გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგების გაზომვის პრაქტიკა/კრიტერიუმები. ისევე, როგორც არ არსებობს გატარებული პრევენციული ღონისძიებების შეფასების/შედეგების/ეფექტიანობის გაზომვის კრიტერიუმები.

საზოგადოებისთვის უცნობია, როგორია სისხლის სამართლის პოლიტიკა. ერთადერთი დოკუმენტი, სადაც მოცემულია ეს ინფორმაცია, არის გენერალური პროკურორის ანგარიში - პროკურატურის საქმიანობის შესახებ, თუმცა ეს დოკუმენტი არ იძლევა სრულ სურათს ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის გატარების შედეგების/პროგრესის შესახებ.

საზოგადოებისთვის უცნობია, ასევე, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. საჯაროა ინფორმაცია გამოძიების დაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების შესახებ, თუმცა არ ხდება საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე ამ მონაცემების ანალიზი, ერთმანეთთან შეკავშირება და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება - გაუმჯობესდა თუ გაუარესდა ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობა.

საქართველოში არ არსებობს სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგია. ერთი და იგივე პარამეტრს სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანო ითვლის სხვადასხვა მეთოდოლოგიით. ასევე, მონაცემები არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და შეუძლებელია ერთიანი სურათის დანახვა.

ბუნდოვანია საგამოძიებო უწყებებს შორის ქვემდებარეობის გადანაწილების საკითხი. გენერალური პროკურორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის მიხედვით, ერთი და იმავე მუხლს იძიებს რამდენიმე უწყება, ამასთან არალოგიკურია რიგ შემთხვევებში კონკრეტული მუხლის კონკრეტული საგამოძიებო უწყებისთვის დაქვემდებარება (მაგ.: იმ ფონზე, როცა ქვეყანაში არსებობს ფინანსური პოლიცია, ფინანსურ დანაშაულებს იძიებს პროკურატურაც. ასევე, მაშინ როცა მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მიზნით შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, იგი იძიებს არამოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებსაც და ამის პარალელურად, მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ნაწილს იძიებს პროკურატურაც და ა.შ.).

დამატებით, აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას მნიშვნელოვანი როლი აქვს როგორც სამოქალაქო დავის გადასაწყვეტად, ისე სისხლის სამართლის საქმეში პირის ბრალეულობის გამოსავლენად. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა, ერთი მხრივ, გამოძიება

ჭიანურდება ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო წარმოებაშიც არ იღებს სარჩელს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის გარეშე. საქმეებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ არაგონივრულ ვადებში ხდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მომზადება.[3] ხოლო, არ არსებობს რაიმე სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც ამგვარი ექსპერტიზის დროულად მოპოვების დაჩქარებას საკანონმდებლო საშუალების გამოყენებით შეძლებდა პირი.

პაციენტის დარღვეული უფლებების შემთხვევაში, სისტემური პრობლემები იკვეთება საქმის გამოძიების ეტაპზე. უფრო კონკრეტულად, გამომძიებლებს არ აქვთ სამედიცინო საქმეებთან მიმართებაში საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რაც ართულებს მათ მიერ შეკითხვების სწორად ფორმულირებისა და გამოძიების სწორი მიმართულებით წარმართვის შესაძლებლობას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა გამომძიებლები არ ინტერესდებიან ისეთი მნიშნველოვანი საგამოძიებო მოქმედებების შესრულებით, როგორიც არის მოწმის სახით სამედიცინო პერსონალის დაკითხვა.[4]

**ამოცანა 2**

საგამოძიებო სისტემის რეფორმა - საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების სისტემური გამიჯვნა გამოძიების ხარისხის ამაღლებისთვის

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

გამომძიებლები, პროკურორები, დაზარალებულები, ბრალდებულები, ფართო საზოგადოება

**აქტივობა/შინაარსი:**

i. ტრენინგ-მოდულის შემუშავება გამომძიებლებისთვის;
ii. საპროცესო დოკუმენტების ნიმუშების შემუშავება გამომძიებლებისთვის;
iii. გაიდლაინების შემუშავება გამომძიებლებისთვის;
iv. გამომძიებლების გადამზადება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში;
v. გამომძიებლების გადამზადება სამართლებრივ წერაში;
vi. საგამოძიებო დანაყოფების მენეჯერების გადამზადება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში;
vii. საგამოძიებო დანაყოფების მენეჯერების გადამზადება სამართლებრივ წერაში;
viii. გამომძიებლების საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი;
ix. მონიტორინგის შედეგების გაცნობა გამომძიებლებისთვის;
x. მონიტორინგის შედეგებს გაცნობა საზოგადოებისთვის;
xi. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის გაძლიერება - ადამიანური რესურსებით და კვალიფიკაციით;
xii. საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნის რეფორმის შეფასება (კვლევა);
xiii. სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის გამოძიების პროკურატურისგან სრულად

[3]ადამიანის უფლებათა ცენტრი, სამედიცინო მომსახურებისას დაზარალებული მოქალაქეების სამართლებრივი პრობლემების ანალიზი, 2023, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/473/geo/, [25.07.2023].
[4] იქვე.

დამოუკიდებლად ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება.

**დასაბუთება**

საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნის ფონზე, საჭიროა გამომძიებელთა მომზადება და მათი კვალიფიკაციის გაზრდა ახალი ფუნქციების ეფექტიანად შესრულების მიზნით. ამასთან, გასაძლიერებელია გამომძიებელთა მონიტორინგი, რათა დროულად მოხდეს ხარვეზების აღმოფხვრა და მათი გამოსწორება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელიც იძიებს მოხელეთა (მათ შორის, ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებით პროკურორთა) მიერ ჩადენილ დანაშაულებს, აუცილებლად უნდა იყოს აღჭურვილი გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარების უფლებამოსილებით და არ იყოს დამოკიდებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროს პროკურატურაზე. ამ საკითხზე რეკომენდაცია აქვს ასევე გაცემული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

**ამოცანა 3**

პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

პროკურორების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის შემდგომი ზრდა პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის და ანგარიშვალდებულების განმტკიცებისთვის.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. გენერალური პროკურორის მიერ ანგარიშის წარდგენა სამოქალაქო საზოგადოებისთვის;
ii. საპროკურორო საბჭოს ვებგვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსება;
iii. გენერალური პროკურატურის მიერ წარმოებული სტატისტიკა პროკურატურის/პროკურორის ყველა ფუნქციის განხორციელების შესახებ;
iv. გამოქვეყნდეს ინფორმაცია ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორისთვის მიცემული წერილობითი მითითებების რაოდენობის შესახებ;
v. გამოქვეყნდეს დეტალური სტატისტიკური ინფორმაცია ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ;
vi. გამოქვეყნდეს დეტალური სტატისტიკური ინფორმაცია ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრებისა და მისი შედეგების შესახებ;
vii. შემუშავდეს გამჭვირვალე კრიტერიუმები პროკურატურის თანამშრომელთა წახალისების/ჯილდოს შესახებ.

**დასაბუთება**

პროკურატურას არ აქვს დანერგილი მის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მედიისთვის ან/და სამოქალაქო საზოგადოებისთვის წარდგენის პრაქტიკა. საჯარო არ არის საბჭოს საქმიანობის ამსახველი სრულყოფილი ინფორმაცია (საპროკურორო საბჭოს სხდომის ოქმები, განკარგულებები და ა.შ.). გენერალური პროკურორის ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას პროკურატურის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებების შესახებ, მათ შორის, ინფორმაციას ზემდგომ და ქვემდგომ პროკურორებს შორის კომუნიკაციის შესახებ. არ არის შემუშავებული გამჭვირვალე კრიტერიუმები პროკურატურის თანამშრომელთა

წახალისების/ჯილდოს შესახებ (ეს კრიტერიუმები არ არის საჯარო).

## სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვა

**ამოცანა 1**

სიცოცხლის უფლების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სრულყოფა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად და ამისთვის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი ნებისმიერი საქმიანობის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეგულაციების დადგენა

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

პატიმრები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. პატიმართა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ხარისხის მონიტორინგი;
ii. პატიმართა სამედიცინო დახმარების ხარისხის მონიტორინგი;
iii. პატიმართა სუიციდის პროგრამის გადახედვა და დახვეწა;
iv. პენიტენციური დაწესებულების ექიმებისა და თანამშრომლების გადამზადება მონიტორინგის შედეგების მიხედვით.

**დასაბუთება**

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ანგარიშების მიხედვით, გამოწვევაა პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო დოკუმენტების წარმოებისა და გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი. ამასთან, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სუიციდის პრევენციის პროგრამის ეფექტიანობის ხარისხი.[5] შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება.

**ამოცანა 2**

სიცოცხლის მოსპობის ეფექტიანი გამოძიების მექანიზმის გაუმჯობესება, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

დროებითი მოთავსების იზოლატორები, კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების საკანონმდებლო რეგულაციების

[5] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, 265-269, ხელმისაწვდომია: https://personaldata.ge/cdn/2022/03/SIS-2021-Annual-Report.pdf, [25.07.2023].
სპეციალური საგამოძიებო სასახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 200-211. https://sis.gov.ge/uploads/files/642b00b19d11a_specialuri-sagamodziebo-samsaxuris-2022-wlis-saqmianobis-angarishi.pdf

გაუმჯობესება;

ii. დეტალურად არის გაწერილი პენიტენციურ დაწესებულების, დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა, ფსიქიატრიული დაწესებულებების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები.

**დასაბუთება**

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და სპეციალური საგამოძიებოს სამსახურის ანგარიშების თანახმად, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დაწესებულებაში ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაყვანილი პატიმრების ვიზუალური მონიტორინგის საკითხი არ არის დარეგულირებული - არ არის განსაზღვრული ვინ უნდა განახორციელოს პალატებში მოთავსებული იმ პატიმრების შემოწმება/მონიტორინგი, რომელთა მიმართ ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გადაყვანამდე პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობდა 24 საათიანი ვიზუალური მონიტორინგი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშის თანახმად, განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. ამგვარი ექსპერტიზის ჩატარების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პროცედურა მნიშვნელოვნად აფერხებს დროული და სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას. ასეთი სახის ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, საგამოძიებო დეპარტამენტი მიმართავს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომელიც კომისიისთვის შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტების გამოყოფაზე თხოვნას უგზავნის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. ექიმ-სპეციალისტებს კომისიაში მონაწილეობის მოტივაცია არ აქვთ, რადგან ეს გულისხმობს დიდი მოცულობით სამუშაოს შესრულებას (ექსპერტიზაზე წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობა, საკონსულტაციო პასუხებისა და ექსპერტიზის დასკვნის მომზადება). ამასთან, ამ სამუშაოსთვის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს არც ექსპერტიზის ბიურო და არც სამინისტრო. რამდენადაც კომისიურ ექსპერტიზაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, ექიმ-სპეციალისტები უარს აცხადებენ. ამ მიზეზების გამო, ექსპერტიზა ჭიანურდება რამდენიმე თვის (წლის) განმავლობაში. [6]

## მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებები

**ამოცანა 1**

პენიტენციურ სისტემაში კრიმინალური სუბკულტურის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

[6] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://personaldata.ge/cdn/2022/03/SIS-2021-Annual-Report.pdf, [25.07.2023].
სპეციალური საგამოძიებო სასახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://sis.gov.ge/uploads/files/642b00b19d11a_specialuri-sagamodziebo-samsaxuris-2022-wlis-saqmianobis-angarishi.pdf, [25.07.2023].

პატიმრები, პენიტენციურ სისტემაში კრიმინალური სუბკულტურის აღმოფხვრა

**აქტივობა/შინაარსი:**

გატარდეს ყველა სათანადო ღონისძიება პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შესამცირებლად, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ამ მიზნით, საჭიროა, დაუყოვნებლივ შემუშავდეს შესაბამისი სტრატეგია და გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელ ღონისძიებებს. ამასთანავე, გაიზარდოს პენიტენციურ დაწესებულებებში თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებიც, ასევე, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ უწყვეტი პროფესიული და საგანმანათლებლო პროგრამებით.

**დასაბუთება**

პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. კრიმინალური სუბკულტურის არსებობასა და პენიტენციურ დაწესებულებებზე მის გავლენაზე არა ერთი ეროვნული თუ საერთაშორისო ინსტიტუტი საუბრობს. კრიმინალური სუბკულტურა წარმოადგენს არა მხოლოდ საფრთხეს პატიმრებისთვის, ასევე, ის მიზნად ისახავს პატიმართა გაჩუმებას და ხელს უწყობს სისტემურ დანაშაულს.

2021 წლის 17 მაისიდან 24 მაისამდე საქართველოში *ad hoc* ვიზიტით წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი იმყოფებოდა. ევროპულმა კომიტეტმა ვიზიტის შედეგად აღნიშნა, რომ: *„დელეგაცია, ასევე, შეშფოთებული იყო როდესაც შეამჩნია, არაფორმალური იერარქიის არსებობის აშკარა ნიშნები, როგორიცაა დამახასიათებელი ნიშნები (კერძოდ, „ქურდული სამყაროს“ რვაქიმიანი ვარსკვლავი და მოღრიალე მგლები, ცნობილი, როგორც „ოსკალები“) ხილულად განთავსებული საკნის კარსა და საკნის კედლებზე (განსაკუთრებით №17 პენიტენციურ დაწესებულებაში)“.*[7]

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა, ასევე, ხაზი გაუსვა, იმასაც რომ: *„ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში იყო აშკარა უთანასწორობა საკნის პირობებს შორის: მაშინ, როდესაც პატიმართა უმრავლესობას უწევდა ვიწრო და ნახევრად-დანგრეულ პირობებში ცხოვრება, ზოგიერთი პატიმარი (სავარაუდოდ, ისინი, რომლებიც პატიმართა იერარქიაში მოწინავე პოზიციებზე იყვნენ) სარგებლობდნენ შედარებით კომფორტული პირობებით, მეტი სივრცით, გარემონტებული საკნებით (პარკეტით ან კრამიტით დაფარული იატაკით) და უამრავი არადამახასიათებელი აღჭურვილობით (დიდი ტელევიზორები, DVD, დინამიკები, კონდიციონერები, სამზარეულოს კუთხეები და ა.შ.). და ბოლოს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვნად, არაერთმა პატიმარმა დაუდასტურა დელეგაციას იერარქიის არსებობა და ფულის შეგროვების (უფრო სწორად, გამოძალვის) პრაქტიკა (პატიმრებისგან, მაგრამ უფრო ხშირად მათი*

[7] იხ. Report to the Georgian Government on the ad hoc visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 17 to 24 May 2021, 16.06.2022, §12.

*ოჯახის წევრებისგან) პატიმართა უკანონო ფონდისთვის („ობშიაკი“[8]).”[9]* ეს უკანასკნელი აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს შესახებ 2022 წლის სახელმწიფო ანგარიშშიც.[10] ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს არა მხოლოდ პატიმართა შორის არსებულ უთანასწორობაზე, არამედ ობიექტურად ადასტურებს პენიტენციურ დაწესებულებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობასა და გავლენას.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისთვის წარდგენილ საქართველოს პასუხში ვკითხულობთ, რომ: *„საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური მუდმივად მოუწოდებენ შესაბამის სადამკვირვებლო ორგანოებს, რომ დაასახელონ კონკრეტული ინციდენტები ან პიროვნებები, რომლებიც სავარაუდოდ „არაფორმალური იერარქიაში“ არიან ჩაბმულნი გამოძიების დაუყოვნებლივ დასაწყებად. თუმცა, ჯერჯერობით არც ერთი კონკრეტული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია არ დაფიქსირებულა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური ღია არიან ამ მიმართულებით სრული თანამშრომლობისთვის.”[11]* აღსანიშნავია, რომ თუ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა 7-დღიანი ვიზიტის ფარგლებში მოახერხა პენიტენციურ დაწესებულებებში „კრიმინალური სუბკულტურის“ იდენტიფიცირება, გონივრულია ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხზე ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ ეროვნულ ინსტიტუტებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, რომელთაც პენიტენციურ დაწესებულებებში შესვლა და პატიმართა მდგომარეობისა და ქცევის შესწავლა შეუფერხებლად შეუძლიათ.

კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ფლობს შესაბამის ინფორმაციას კრიმინალური სუბკულტურის არსებობასა და მისი გავლენის შესახებ, მოცემულია საქართველოს სახალხო დამცველის ბოლო წლიურ ანგარიშშიც.[12] სახალხო დამცველის აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ჰქონდათ წვდომა №17 პენიტენციურ დაწესებულებაში, პატიმართა შორის ძალადობის შედეგად მოკლული პატიმრის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე. მოწმეთა ჩვენებები აღწერს კრიმინალური ავტორიტეტების, ე.წ. „მაყურებლების“, რომელთაც პრივილეგიები და გავლენა აქვთ, არსებობასა და ჩართულობას. სახალხო დამცველი აღნიშნავს იმასაც, რომ *„სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წლის განმავლობაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარ სამმართველოს ხუთჯერ მიმართა და №2 პენიტენციური დაწესებულებების ცალკეულ საკნებსა და დერეფნებში*

---

[8] პატიმართა უკანონო ფონდი თეორიულად მიზნად ისახავდა საერთო ურთიერთდახმარების მექანიზმის არსებობას, მაგრამ რეალურად ემსახურება არაფორმალური იერარქიის მაღალ საფეხურებზე მყოფი პირების ინტერესებს. იხ, ასევე, https://www.in-formality.com/wiki/index.php?title=Obshchak_(Russia). გავრცელებული ინფორმაციით, თანხა, რომლითაც პატიმართა კონტრიბუციას ითხოვდნენ, მერყეობდა თვეში 10-დან 300 ლარამდე (დამოკიდებული იყო მათ ქონებასა და მათი ოჯახების სიმდიდრეზე).

[9] Report to the Georgian Government on the ad hoc visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 17 to 24 May 2021; 16.06.2022, §12.

[10] იხ. The U.S. Department of State 2022 Country Reports on Human Rights Practices: Georgia, section 1, subsection "c", available at - https://bit.ly/42H58xL [25.07.2023].

[11] იხ. Response of the Government of Georgia to the report of the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) on its ad hoc visit to Georgia from 17 to 24 May 2021; 17.02.2022, 14.

[12] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 51.

*განთავსებული ელექტრონული მეთვალყურეობის შედეგად მოპოვებული ვიდეოჩანაწერების დაარქივება და მოწოდება/გაცნობა სთხოვა. თუმცა, სამწუხაროდ, სამმართველოს მითითებით, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაში წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზის გამო, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილი ვიდეოჩანაწერების დაარქივება ვერ მოხერხდა."*[13]

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც საერთაშორისო, ასევე, ადგილობრივი ინსტიტუტები, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი და საქართველოს სახალხო დამცველი ასახელებენ კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებებს, სადაც გამოიკვეთა ე.წ. „კრიმინალური სუბკულტურის" ნიშნები, ჩვენთვის ცნობილი არ არის რაიმე ნაბიჯები შესაბამისი უწყებების მხრიდან გადაიდგა თუ არა, რათა პატიმართა შორის იერარქიისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები შესწავლილი და აღკვეთილი ყოფილიყო, მაშინ, როდესაც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისთვის წარდგენილ პასუხში საქართველოს მთავრობა აღნიშნავს, რომ *„საქართველოს ხელისუფლება ღიაა, ყურადღებით შეისწავლოს მონიტორინგის ორგანოების, მათ შორის ეროვნული მონიტორინგის ორგანოების ყველა შეშფოთება, და მზად არის გადაჭრას ისეთი საკითხები, როგორიცაა „არაფორმალური იერარქია" გამჭვირვალე გზით."*[14]

პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული პირები აღნიშნული სიტუაციის შესაცვლელად სათანადო ზომებს ვერ ან არ იღებენ. ამის საპირისპიროდ, ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მათთან პატიმართა „ურთიერთობის დარეგულირების" მიზნით.[15] როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში არის მითითებული, „არაფორმალური მმართველობა" პატიმრებს მითითებას აძლევს, რომ პრობლემების შემთხვევაში მათთან მივიდნენ და ისინი შეეცდებიან პრობლემების მოგვარებას.[16] აქედან გამომდინარე, პატიმრები უარს ამბობენ ოფიციალური საჩივრების გამოყენებაზე.[17]

აღნიშნულ არაფორმალური მმართველობას ახასიათებს პატიმართა შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. სახალხო დამცველის ინფორმაციით, ძალადობის მსხვერპლი პატიმრები ხშირად თავს იკავებენ დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სამედიცინო პერსონალთან მათი დაზიანების რეალური მიზეზების განხილვისგან, რათა თავიდან აიცილონ მოსალოდნელი ანგარიშსწორება.[18]

თუ სახელმწიფო გააგრძელებს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობის უარყოფას, აღნიშნული სისტემური გამოწვევა ეფექტიანად ვერ აღმოიფხვრება. აღნიშნული პრობლემა არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებათა ევროპული

---

[13] *იქვე*, 51-52.

[14] იხ. Response of the Government of Georgia to the report of the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) on its ad hoc visit to Georgia from 17 to 24 May 2021; 17.02.2022, 14.

[15] *იქვე*. იხ. ასევე, Report to the Georgian Government on the ad hoc visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 17 to 24 May 2021; 16.06.2022, §§ 20, 29.

[16] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019, 7.

[17] *იქვე*, 42.

[18] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 33.

კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, არამედ დემოკრატიულ საზოგადოებაში პენიტენციური დაწესებულებების მიზნებს ეწინააღმდეგება.

**ამოცანა 2**

პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების ეფექტიანი დაცვის შემდგომი უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; პენიტენციური და პრობაციის სისტემების განგრძობადი ინსტიტუციური გაძლიერება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

პატიმრები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. ბრალდებულის/ მსჯავრდებულის სრული შემოწმების მოთხოვნა განხორციელდეს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპებზე დაყრდნობით;
ii. სრული შემოწმების განხორციელებისას, არ მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა;
iii. უზრუნველყოფილ იქნას უცხოელი პატიმრების სათანადო ინფორმირება თარჯიმნის მოწვევის და მათთვის გასაგებ ენებზე დაბეჭდილი ბროშურების გადაცემის გზით;
iv. მაქსიმალურად გამარტივდეს კომუნიკაცია უცხოელ პატიმრებსა და დაწესებულების პერსონალს შორის, მათ შორის, თარჯიმნის მოწვევის გზით;
v. საერთაშორისო ზარის განხორციელება და საზღვარგარეთ წერილის გაგზავნა შესაძლებელი იყოს მაქსიმალურად დაბალ ფასებში;
vi. მოხდეს უცხოელი პატიმრების სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფა;
vii. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა გადახდისუუნარო უცხოელი პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის ხარჯები სახელმწიფოს მიერ იქნას ანაზღაურებული;
viii. უზრუნველყოფილ იქნას ხანმოკლე პაემნების ოთახის გადატიხვრა იმგვარად, რომ დაცული იყოს პატიმრების პირადი საუბრების კონფიდენციალურობა;
ix. ახალი სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვისას შესაბამისი გამოკითხვის ჩატარების გზით გათვალისწინებული იქნას პატიმრების ინტერესები;
x. პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში არსებულ თანამშრომლებს ჩაუტარდეთ ტრენინგი ისეთ თემებზე, როგორიცაა დინამიკური უსაფრთხოება, ძალადობრივი დამნაშავეების მართვა, კონფლიქტის პრევენცია ან განმუხტვა, მოლაპარაკებებისა და მედიაციის საშუალებით.

**დასაბუთება**

მნიშვნელოვანია პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; უფრო კონკრეტულად, განსახორციელებელი აქტივობები უნდა ტარდებოდეს მხოლოდ თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. ასევე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი

სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა პატიმრისთვის, მათ შორის, უცხოელი პატიმრებისთვისაც.

ასევე, მნიშვნელოვანია პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში არსებულ თავისუფლებააღკვეთილ პირებს შორის ძალადობის აღკვეთა. გამოკითხულ პატიმართა ნაწილისგან მიღებული ინფორმაციით, დისციპლინურ დარღვევებთან დაკავშირებით პრევენციული მუშაობა არ მიმდინარეობს. პატიმრების განცხადებით, ზოგიერთ თანამშრომელთან განსაკუთრებული სიფრთხილით მოქცევაა საჭირო, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამშრომელი მოიქცევა გამომწვევად, კონფლიქტის პროვოცირებას კი მოჰყვება დისციპლინური წესით დასჯა. პატიმრები, ასევე, საუბრობენ თანამშრომელთა მხრიდან ცინიკურ დამოკიდებულებაზე და მათი მხრიდან კანონით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმის შესახებ.[19]

**ამოცანა 3**

მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უსაფრთხოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, პენიტენციური სისტემის შემდგომი გაძლიერება საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად; გადამდებ დაავადებათა პრევენცია და სამოქალაქო სექტორის ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ქალი პატიმრები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. ქალ პატიმრებს დაწესებულებაში მოთავსებისას, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია გინეკოლოგიური სავარძლის გამოყენების გზით სრული შინაგანი შემოწმების დანიშნულების თაობაზე;
ii. უზრუნველყოფილი იყოს გინეკოლოგიური შემოწმება იმავე სქესის სამედიცინო პერსონალის მიერ.

**დასაბუთება**

ქალი პატიმრების დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული სრული შინაგანი შემოწმების დანიშნულების შესახებ. სრული შინაგანი შემოწმება პირადი შემოწმების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომელიც ტარდება სამედიცინო მუშაკის მიერ გინეკოლოგიურ სავარძელზე იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულში აკრძალული ნივთიერების არსებობის შესახებ აღნიშნული შემოწმება პატიმრების ნაწილისათვის სამედიცინო გამოკვლევასთან ასოცირდება. მნიშვნელოვანია, ქალ პატიმრებს სათანადოდ განემარტოთ სრული შინაგანი შემოწმების დანიშნულება და მისი გამოყენების საფუძვლები.[20] ასევე, შემოწმება, და, ზოგადად, პენიტენციურ დაწესებულებაში გინეკოლოგიურ

[19] ადამიანის უფლებათა ცენტრი, პენიტენციური დაწსებულებების მონიტორინგის ანგარიში, 2019, 15-6, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/201/geo/, [25.07.2023].
[20] ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში (2018)

ჯანმრთელობაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ იმავე სქესის სამედიცინო პერსონალის მიერ.

**ამოცანა 4**

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა; მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება, მათ შორის, განათლების, სპორტული, კულტურული და დასაქმების პროგრამების განვითარების გზით; მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი განვითარება, პატიმართა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით;

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა და რისკების შეფასება[21].

**აქტივობა/შინაარსი:**

i. სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმებში სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი მულტიდისციპლინური გუნდის ყველა წევრის მიერ შევსებული ინფორმაცია, ამასთან სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს შევსებული ინფორმაციის სისწორეზე და გამოირიცხოს ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის წარმოდგენა;
ii. ინდივიდუალურ გეგმებში წარმოდგენილი იქნას პრობლემის გადაჭრის გზები; გაანალიზდეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიმდინარეობა სხვადასხვა ეტაპზე. ამასთან წარმოდგენილ იქნას მიზეზები, თუ რატომ ვერ მოხერხდა დაგეგმილი აქტივობის შესრულება გეგმით განსაზღვრულ დროში;
iii. კანონმდებლობით განისაზღვროს და პრაქტიკაში განხორციელდეს მსჯავრდებულის უფლება, ჩართული იყოს რისკების შეფასების პროცესში, წარადგინოს საკუთარი პოზიცია იმ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც ხდება რისკის სახის დადგენა, ჰქონდეს ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობისა და შეფასების საბოლოო დასკვნის შესახებ.

**დასაბუთება**

მნიშვნელოვანია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა ისეთი აქტივობებით, რომლებიც ითვალისწინებს ინდივიდუალური გეგმების გაწერის სისწორის უზრუნველყოფას და თითოეული გეგმის შესაბამისად სასჯელის მოხდის ეტაპზე თითოეული აქტივობის შეუსრულებლობის დასაბუთებას. მსჯავრდებული უნდა იყოს ჩართული რისკების შეფასების პროცესში, ვინაიდან მას აქვს უფლება, ჰქონდეს ინფორმაცია პროცესის და საბოლოო დასკვნის შესახებ.

[21] პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2019, გვ 7

**ამოცანა 5**

პრობაციის სისტემაში მყოფი მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერება, მათი რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის გზით;

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

პრობაციის სისტემაში მყოფი მსჯავრდებულების საერთო სივრცეების დასუფთავების ვალდებულება

**აქტივობა/შინაარსი:**

დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დებულების ცვლილებების მეშვეობით გაუქმდეს დაწესებულების საერთო სივრცეების მსჯავრდებულების მიერ დასუფთავების ვალდებულება; დასუფთავება უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო პირის მიერ ან, სამართლიანი ანაზღაურების პირობებში, იმ მსჯავრდებულის მიერ, ვისაც აქვს სურვილი, შეასრულოს ასეთი სახის სამუშაო.

**დასაბუთება**

ნახევრად ღია დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების ნაწილი აღნიშნავს, რომ დაბალი რისკის დაწესებულებასთან შედარებით ნახევრად ღია დაწესებულებებში ნაკლებად მკაცრი რეჟიმია. საერთო სივრცის დალაგების წესი ქმნის ერთგვარ ხელოვნურ ბარიერს, უფრო მეტმა მსჯავრდებულმა განაცხადოს თანხმობა, დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადასვლაზე ა/ნდა დარჩენაზე. შესაბამისად, არსებული პრაქტიკა არ არის რისკების შემცირებასა და მსჯავრდებულთა რეაბილიტაციაზე ორიენტირებული. ამ პრაქტიკის მიხედვით, რისკები ფასდება ფორმალურად, ძირითადად, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ფორმალური დამოკიდებულება გამოიხატება როგორც რისკებისა და საჭიროებების ერთიანი სისტემის არარსებობით, ისე დაბალი რისკის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა გადასვლის მოტივაციის გაზრდის ნაცვლად, მისი შემცირებისკენ მიმართული ნაბიჯების გამო.[22]

## წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა

**ამოცანა 1**

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენცია. არსებული შიდა და გარე მექანიზმების გაძლიერება და ეფექტიანი პოლიტიკის დანერგვა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ყველა, ვინც არასათანადო მოპყრობის მსხვერპლია, ან, შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარ მოპყრობას

[22] ადამიანის უფლებათა ცენტრი, პენიტენციური დაწსებულებების მონიტორინგის ანგარიში, 2019, 9-10, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/201/geo/, [25.07.2023].

**აქტივობა/შინაარსი:**

i. მოხელის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება და ამ მიზნით ყველა საინფორმაციო საშუალების გამოყენება;
ii. სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი აქტების დახვეწა - მათი დეტალიზება;
iii. ხელბორკილების დადების დეტალური წესების შემუშავება;
iv. ძალის გამოყენების დეტალური წესების შემუშავება;
v. სპეციალური საშუალებების გამოყენების დეტალური წესების შემუშავება;
vi. ვიდეოსათვალთვალო კამერების ჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების (ჩაწერა, გადმოწერა, დათვალიერება, წაშლა და ა.შ.) ელექტრონულად აღიცხვა.

**დასაბუთება**

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დანერგილი აქვს მოხელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ საზოგადოების ინფორმირების სპეციფიკური მეთოდი: საზოგადოებას ინფორმაციას აწვდის არა ინდივიდუალურ შემთხვევებზე, არამედ ერთიანად, რაღაც პერიოდულობით. არსებითად მნიშვნელოვანია, საზოგადოებას დროულად მიეწოდებოდეს ინფორმაცია მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშების თანახმად, გამოწვევაა სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი აქტების ბუნდოვანება - არ ირკვევა კონკრეტულ შემთხვევაში ვის ევალებოდა გარკვეული ქმედების განხორციელება, რაც, ერთი მხრივ, ქმნის ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხეს, ხოლო, მეორე მხრივ, ართულებს უკვე დარღვეულ უფლებაზე რეაგირებას.

სამართალდამცავ ორგანოებში არ არის შემუშავებული ხელბორკილების დადებისა და ძალის გამოყენების დეტალური წესები. ვინაიდან სამოხელეო დანაშაულის სავარაუდო მსხვერპლები ხშირად მიუთითებენ სამართალდამცავთა მიერ ხელბორკილის მჭიდროდ, ხანგრძლივად დადებაზე და, ასევე, აქციების დროს ფიზიკური ძალის/სპეც. საშუალებების არასათანადო გამოყენებაზე,[23] საჭიროა ასეთი წესების არსებობა ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

სამოხელეო დანაშაულების გამოძიების პროცესში ერთ-ერთი გამოწვევაა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საგამოძიებო ორგანოსათვის ვიდეოსათვალთვალო კამერების ჩანაწერების მიწოდება. ვინაიდან შსს-ში არ არის დანერგილი უსაფრთხოების წესები და არ

[23] იხ. მაგალითად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „დაკარგული თვალის მიღმა“, 2019, 51-3, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%90.pdf, [25.07.2023].

აღირიცხება ვიდეოსათვალთვალო სისტემებში შესრულებული ყველა მოქმედების (ჩაწერა, გადმოწერა, დათვალიერება, წაშლა და ა.შ.) ელექტრონულად აღიცხვა, შეუძლებელია გამოძიების მიერ ამ ჩანაწერების არარსებობის მიზეზების დადგენა. შესაბამისად, საჭიროა ვიდეოსათვალთვალო სისტემებში შესრულებული ყველა მოქმედების (ჩაწერა, გადმოწერა, დათვალიერება, წაშლა და ა.შ.) ელექტრონულად აღიცხვა.

**ამოცანა 2**

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფაქტებზე დამოუკიდებელი, დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ყველა, ვინც არასათანადო მოპყრობის მსხვერპლია, ან, შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარ მოპყრობას.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. საერთაშორისო შედარებით-სამართლებრივი კვლევა - სამოხელეო დანაშაულების დისპოზიციებისა და სასჯელების შესახებ;
ii. სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულების თავის რეფორმა;
iii. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მარეგულირებელი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების გადახედვა (დისპოზიციების, სანქციების მიმართულებით);
iv. დანაშაულის ნიშნების შემცველ ყველა განცხადებაზე/ინფორმაციაზე გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება;
v. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის დაუყოვნებლივ დაწყება;
vi. გამომძიებელთა გადამზადება/გაძლიერება;
vii. პროკურორთა გადამზადება/გაძლიერება;
viii. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მუდმივი მონიტორინგი და გამომძიებელთა და პროკურორთა ინფორმირება.

**დასაბუთება**

სამოხელეო დანაშაულების სწორი კვალიფიკაცია ერთ-ერთი გამოწვევაა. სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა ერთი და იგივე ქმედების სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაციის შესაძლებლობას (მაგ.: ხშირია აზრთა სხვადასხვაობა ქმედების 333-ე თუ 143[3] მუხლით კვალიფიკაციის, ასევე, 335-ე მუხლით კვალიფიკაციის შესახებ). ამასთან, შეუსაბამოა სამოხელეო დანაშაულებისთვის გათვალისწინებული სანქციები.

ბოლო დროს საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შეიცავს მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს, სპეციალური საგამოძიებო სამსახური არ იწყებს გამოძიებას. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშები ცხადყოფს, რომ პროკურატურა  დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობის შემთხვევაში

დროულად არ იწყებს ან საერთოდ არ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

იმ ფონზე, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური, აღიჭურვა არარელევანტური მუხლების (არასამოხელეო დანაშაულების) გამოძიების უფლებამოსილებით, საჭიროა არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებისა და საპროცესო ზედამხედველობის განხორციელების მიმართულებით გამომძიებელთა და პროკურორთა გადამზადება გამოძიების ხარისხის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით.

**ამოცანა 3**

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაძლიერება ფუნქციურ და ინსტიტუციურ დონეზე და მისი საგამოძიებო უფლებამოსილების დახვეწა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ყველა, ვინც არასათანადო მოპყრობის მსხვერპლია, ან, შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარ მოპყრობას.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობიდან მაღალი თანამდებობის პირებზე არსებული საკანონმდებლო გამონაკლისების გაუქმება (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობა გავრცელდეს შსს მინისტრზე, გენერალურ პროკურორზე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსზე);
ii. სპეცილური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობიდან არასამოხელეო დანაშაულების ამორიცხვა (დანაშაულები, რომლებიც არაა ჩადენილი მოხელის მიერ);
iii. საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნა (პროკურატურისგან დამოუკიდებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილება);
iv. შსს-სა და პენიტენციური სამსახურის მფლობელობაში არსებული ვიდეოსათვალთვალო კამერ(ებ)ის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის დაუყოვნებლივ, ავტომატური შეტყობინების მექანიზმის დანერგვა;
v. სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება და მისი სათანადო აღჭურვა.

**დასაბუთება**

2020 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე. კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა, რომ გააგრძელოს საკანონმდებლო თუ სხვა აუცილებელი ზომების მიღება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის (რომლის უფლებამონაცვლეა სპეციალური საგამოძიებო სამსახური) შემდგომი დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად. [24]

აუცილებელია სამსახურის გაძლიერება ინსტიტუციურად. უნდა შემცირდეს მისი მიჯაჭვულობა

[24] ხელმისაწვდომია: https://hudoc.exec.coe.int/ENG#{%22execidentifier%22:[%22004-5830%22]}, [25.07.2023].

სხვა უწყებაზე, როგორც საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას, ასევე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებისას. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობა არ ვრცელდება მაღალი თანადებობის პირებზე (შსს მინისტრზე, გენერალურ პროკურორზე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსზე). ასევე, პროკურორებზე ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებით. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დაევალა არარელევანტური მუხლების გამოძიება და მისი საქმიანობის დიდი ნაწილი ვრცელდება სწორედ არასამოხელეო მუხლებზე.

პრობლემად არის დასახელებული, ასევე, ექსპერტიზების დროულად ჩატარება (როგორც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ). ამასთან, დაბალია შსს-ს მიერ ვიდეოჩანაწერების საგამოძიებო ორგანოსთვის მიწოდების მაჩვენებელი.

**ამოცანა 4**

წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და რეაბილიტაციის ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ყველა, ვინც არასათანადო მოპყრობის მსხვერპლია, ან, შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარ მოპყრობას.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის პროგრამის დისტანცირება შინაგან საქმეთა სამინისტროდან;
ii. წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა უზრუნველყოფა ფსიქოლოგის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე;
iii. წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა უზრუნველყოფა იურიდიული მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე;
iv. წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა საჭიროებების კვლევა;
v. წამებისა და არასათანადო მოპყრობის პოტენციურ მსხვერპლთა ცნობიერებისა და ინფორმირებულობის გაზრდა.

**დასაბუთება**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებებსა და მათი აღსრულების მექანიზმს. თუმცა, ისინი არ არის მორგებული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა სპეციფიკაზე. კერძოდ, სამსახურის წარმოებაში არსებული არასათანადო მოპყრობის საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებს. პროცესის მონაწილე დაცვას ითხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლისგან. ამ დროს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაცვის სპეციალური ღონისძიების აღსრულებას უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამასთან, საპროცესო კოდექსში მოცემული დაცვის არც ერთი სპეციალური ღონისძიება არ არის მორგებული

პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პროცესის მონაწილის დაცვაზე. პრაქტიკაში სამსახურს მიუმართავს პენიტენციური დაწესებულებისთვის პატიმრის/მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის თხოვნით და ეს თხოვნა გაუთვალისწინებიათ, თუმცა ეს პენიტენციური დაწესებულების სურვილზეა დამოკიდებული.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები არიან მოწყვლადები. როგორც წესი ისინი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირები. შესაბამისად, მათ უჭირთ იმ უწყების თანამშრომელთა მიმართ ჩვენებების მიცემა, რომელიც იძიებს იმ საქმეს, რომელშიც ისინი არიან ბრალდებულები. მათ გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანია ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ ფსიქოლოგისა და ადვოკატის მომსახურებით.

## პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და პერსონალური მონაცემების დაცვა

**ამოცანა 1**

ფარული თვალთვალის ღონისძიებები (სისხლის სამართლისა და კონტრდაზვერვის პერსპექტივიდან) იყოს ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი კანონმდებლობისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის კუთხით.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ნებისმიერი ადამიანი, ვინც შესაძლოა გახდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ობიექტი.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინებული დებულებები ფარული თვალთვალის ზომებთან დაკავშირებით (როგორც სისხლის სამართლის, ისე კონტრდაზვერვის პერსპექტივიდან) შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის კუთხით, კერძოდ, კანონის ხარისხის მოთხოვნებს (A) ხელმისაწვდომობის, (B) დაფარვის არეალის; ფარული თვალთვალის ზომების გამოყენების განჭვრეტადობის; (C) ხანგრძლივობის; (დ) ღონისძიების ავტორიზაციის; (E) მონაცემთა შენახვისა და განადგურების; (F) ზედამხედველობისა და კონტროლის; (G) შეტყობინების წესებისა; (H) უფლების დაცვის ქმედითი საშუალებების არსებობის თვალსაზრისით.

ii. უნდა განხორციელდეს არსებული საკანონმდებლო ბაზის რეფორმები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შიდა სამართლებრივ აქტებს შორის თანმიმდევრულობა და ურთიერთშესაბამისობა, სტანდარტებში არსებული აცდენების აღმოსაფხვრელად;

iii. უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამოუკიდებელი გარე ორგანოს არსებობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება (1) ავტორიზაციასა და (2) ნებისმიერი ორგანოს ქმედების მონიტორინგზე, რომელსაც მინიჭებული აქვს კომუნიკაციის მოსმენისა და ფარული მეთვალყურეობის უფლებამოსილება.

### დასაბუთება

ფარული მოსმენა-მიყურადება-თვალთვალი სახელმწიფო ორგანოების მთავარი იარაღია ადამიანის უფლებათა სხვადასხვა მიმართულებით რეპრესიისთვის. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2021 წლის აგვისტოსა და სექტემბერში მედიასაშუალებების მიერ გავრცელდა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური სავარაუდოდ უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების და თვალთვალის შესახებ. საუბარია დაახლოებით 58 000-მდე ფაილზე, სადაც აღწერილია ჟურნალისტების, რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტების, დიპლომატებისა და სხვა პირთა კერძო კომუნიკაციისა და პირადი ცხოვრების შესახებ დეტალურად დამუშავებული ინფორმაცია. გავრცელებულ ფაილებში არსებული ინფორმაციის ავთენტურობა ბევრმა ადამიანმა დაადასტურა.

პრობლემები ევროპარლამენტის 2022 წლის 09 ივნისის რეზოლუციაშიც[25] აისახა, სადაც, პარლამენტი, სხვა მოთხოვნათა შორის, ასევე, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება მოსმენების საქმესთან დაკავშირებით და დანერგოს სათანადო საკანონმდებლო მექანიზმები სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ თვალთვალისა და მონაცემთა შეგროვების პროცესის გაუმჯობესებისთვის. ამასთან, საგანგაშოა, რომ 2022 წლის 6 სექტემბერს პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო, მათ შორის, ვენეციის კომისიის უარყოფითი შეფასების მიუხედავადაც, და მიიღო ცვლილებები, რომლითაც გაფართოვდა სახელმწიფოს შესაძლებლობები ფარულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით.

### ამოცანა 2

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გასაჯაროებისა და პერსონალური მონაცემების დარღვევის ფაქტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფა.

### თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა

ნებისმიერი ადამიანი, ვინც შესაძლოა გახდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ობიექტი.

### აქტივობა/შინაარსი:

i. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეგიონალური გაფართოება;
ii. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება რეგიონებში არსებულ საჯარო და კერძო დაწესებულებებში;
iii. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების ხანგრძლივობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა;

[25] JOINT MOTION FOR A RESOLUTION on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia, 8.06.2022, ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-9-2022-0300_EN.html, [25.07.2023].

iv. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების წლიური გეგმის შემუშავება და დამტკიცება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული გამოწვევების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ჩატარებულ კვლევებში, ანგარიშებში ასახული მიგნებების/პრობლემების (სფეროების, თემების, ადამიანთა ჯგუფების) შესაბამისად;

v. შესწავლილ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 157[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სასამართლოს უახლესი პრაქტიკა და ამ მუხლების შემადგენლობები ჩამოყალიბდეს სამართლებრივი გარკვეულობის პრინციპის შესაბამისად.

**დასაბუთება**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს არ აქვს რეგიონალური ოფისები (ახლახან დაემატა ბათუმში, ისიც შეზღუდული ფორმით). აღნიშნული აფერხებს, რეგიონებში არსებულ საჯარო და კერძო დაწესებულებებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგს, რეგიონებში ცნობიერების ამაღლებას და ა.შ.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია მისი უფლებების დარღვევის ფაქტზე ხდებოდეს დროული რეაგირება. ხშირ შემთხვევაში ეს განსაზღვრავს მოქალაქის გადაწყვეტილებას - მიმართოს თუ არ მიმართოს სახელმწიფო ორგანოს მისი უფლებების დასაცავად. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა უნდა აწარმოოს და გამოაქვეყნოს სტატისტიკა მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების ხანგრძლივობის შესახებ.

2019 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ეფექტიანიბის აუდიტის დასკვნის მიხედვით, სამსახურს უნდა შეეუშავებინა კრიტერიუმები ყოველწლიურად მონაცემთა დაცვის მიმართულებით მაღალრისკიანი სფეროების იდენტიფიცირების მიზნით და მათ საფუძველზე შეემუშავებინა წლიური გეგმა. სამსახურში ასეთი კრიტერიუმები შემუშავებულია, რომელთა საფუძველზე ყოველწლიურად უნდა მოხდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების წლიური გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

საყურადღებოა, ასევე, რომ ზრდადია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისადმი მომართვიანობა პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. ჩატარებული კვლევის[26] ფარგლებში გამოვლინდა სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 157[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული ორი მუხლის ბუნდოვანება და ამ მიმართულებით მუხლების პრობლემურობა, რომელიც ასევე არ არის გამოსწორებული საერთო სასამართლოების პრაქტიკით.

**ამოცანა 3**

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, მათ შორის, შესაბამის

[26] უფლებები საქართველო, გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.rights.ge/ka/accountnew/17, [25.07.2023].

მაკონტროლებელ ორგანოთა საქმიანობის დახვეწის საკითხთან მიმართებით; ამ სტანდარტების ეფექტიანი დანერგვა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ნებისმიერი ადამიანი, ვინც შესაძლოა გახდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ობიექტი.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. 108+ კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება;
ii. ფარული საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგის მიმართულებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საკანონმდებლო და პრაქტიკული მექანიზმების შეფასება;
iii. ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანოების (ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი, საგამოძიებო ორგანოები) წინასწარი გაფრთხილებისა და ინფორმირების გარეშე შემოწმება;
iv. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის კომენტარების მომზადება;
v. არსებული საჭიროებებისა და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, მიზნობრივი ჯგუფებისათვის და მონაცემთა დამმუშავებლებისთვის რეკომენდაციების/ადაპტირებული მასალების მომზადება და გავრცელება;
vi. თემატური შეხვედრების/კონფერენციების ორგანიზება რელევანტური საჯარო და კერძო დაწესებულებების, არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით;
vii. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის დამტკიცება და დეტალური სტატისტიკის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**დასაბუთება**

საქართველოს არ აქვს ხელმოწერილი 108+ კონვენცია (კონვენციაზე ამ დროისათვის ხელი არ აქვს ხელმოწერილი ევროსაბჭოს წევრ ექვს ქვეყანას - აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი, დანია, მონტენეგრო, უკრაინა). კონვენცია რატიფიცირებული აქვს 23 ქვეყანას. ამ კონვენციის ხელმოწერის საჭიროების შესახებ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აღნიშნავდა საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ ყველა ანგარიშში. აღნიშნულის აუცილებლობაზე, ასევე, საუბრობდა არასამთავრობო სექტორიც.[27]

საქართველოში ბოლო წლებში მასობრივად გავრცელებული სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერების ფონზე, საჭიროა ფარული საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგის მიმართულებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საკანონმდებლო და პრაქტიკული მექანიზმების შეფასება და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება.

[27] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, მოდერნიზებული 108-ე კონვენციის მნიშვნელობა საქართველოსთვის, 2021, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/the_significance_of_the_modernized_convention_108_for_georgia, [25.07.2023].

საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც არის მოცულობითი და შემოთავაზებულია ძალიან ბევრი სიახლე. კანონის სწორად იმპლემენტაციის მიზნით, საჭიროა მისი კომენტარების შემუშავება, მიზნობრივი და თემატური რეკომენდაციების შემუშავება, არსებული რეკომენდაციების განახლება, თემატური შეხვედრების/კონფერენციების ორგანიზება რელევანტური საჯარო და კერძო დაწესებულებების, მონაწილეობით.

მწირია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია. არ არის სეგრეგირებული მონაცემების სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

**ამოცანა 4**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის, მათ შორის, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის ხარისხის გაძლიერება, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ნებისმიერი ადამიანი, ვინც შესაძლოა გახდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ობიექტი.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნება და საზოგადოებისთვის მათი დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
ii. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ არასამთავრობო სექტორისთვის მისი საქმიანობის შესახებ ანგარიშის ყოველწლიურად წარდგენა;
iii. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გადაწყვეტილებების თემატური კრებულების მომზადება;
iv. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ თემატური/სპეციალური ანგარიშების მომზადება;
v. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გამართვა თემატურ ჯგუფებთან, მათ შორის რეგიონებში;
vi. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მოსაზრების პარლამენტში წარდგენა და საზოგადოების ინფორმირება მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ;
vii. კვლევის ჩატარება - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობის შესახებ;
viii. თემატური კონკურსებისა და პროექტების ორგანიზება და ჩატარება, მათ შორის სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის;

ix. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე პლატფორმის შექმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, საქართველოს პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სფეროს ექსპერტების მონაწილეობით;
x. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების სწავლება ბაღებსა და სკოლებში;
xi. არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საკითხზე სპეციალური სამოქმედო გეგმის მომზადება, რომელიც მოიცავს პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის პრევენციისა და მათი დარღვევის შემთხვეაში, დროული და ხარისხიანი რეაგირების საკითხებს;
xii. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესახებ კვლევის ჩატარება (სასურველია ყოველწლიურად);
xiii. ქალების, მათ შორის არასრულწლოვნების, ცნობიერების ამაღლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტებზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე;
xiv. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციისთვის და მსხვერპლთა პერსონალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველსაყოფად, სამართალდამცავი უწყებების შენობების ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება, მათ შორის, შენობების უზრუნველყოფა მსხვერპლთა გამოკითხვისთვის იზოლირებული სივრცეებით;

**დასაბუთება**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ არ ქვეყნდება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებისა და მის ნაცვლად შექმნილი სამსახურებს ეფექტიანობის/დამოუკიდებლობის მიმართ განსაკუთრებული ინტერესის ფონზე, მნიშვნელოვანია საზოგადოებას ჰქონდეს ახლადშექმნილი სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მონიტორინგის შესაძლებლობა.

სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამსახურმა ამ მიმართულებით დაგეგმოს აქტივობები. მათ შორის, რეგიონებში.

ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების დროს, რომლებიც გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას, მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ჩართულობა. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საჯარო უწყებები არ ფლობენ სათანადო ცოდნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე (მოქალაქეთა მომართვების 50% სწორედ საჯარო უწყებებში პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტებს შეეხება).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავება. არასრულწლოვანთა მონაცემების არაკანონიერი დამუშავება, თითქმის ყველა წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ დასახელებულია ერთ-ერთ გამოწვევად. შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით სამსახურის კიდევ უფრო გააქტიურება.

საქართველოში ყოველწლიურად არ ფასდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა. შესაბამისად, ვერ იზომება გაუმჯობესდა თუ გაუარესდა ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით ვითარება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ასეთი ტიპის კვლევის ჩატარება არსებითად მნიშვნელოვანია მისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განსასაზღვრად.

საყურადღებოა, ასევე, რომ ზრდადია არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მიმართვიანობა პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. ორგანიზაციებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მომართავენ როგორც ქალები, ასევე, არასრულწლოვანები. ამასთან, არაერთ შემთხვევაში დაფიქსირდა მსხვერპლების საერთო სივრცეში გამოკითხვის შემთხვევა, რაც დიდწილად განპირობებული იყო შესაბამის შენობაში იზოლირებული სივრცის არარსებობით. გარეშე პირების წინაშე პირადი ცხოვრების დეტალებზე საუბარი ხელს უწყობს მსხვერპლის მეორეულ ვიქტიმიზაციას და, ასევე, გავლენას ახდენს მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

## ამოცანა 5

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების თანამშრომელთა სათანადო კვალიფიკაციით და ცოდნით უზრუნველყოფა პირადი ცხოვრების უფლების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების შესახებ.

### თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

### აქტივობა/შინაარსი:

i. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება;
ii. სამინისტროებში, სამართალდამცავ ორგანოებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვა;
iii. სამინისტროებში, სამართალდამცავ ორგანოებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პერსონალურ მონაცემთა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება;
iv. ადამიანური რესურსების მართვაზე და თანამშრომელთა მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
v. იურიდიული და საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომელთა გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
vi. დეველოპერების გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
vii. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართულ თანამშრომელთა გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე.

### დასაბუთება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ანგარიშების თანახმად, საჯარო უწყებებში, სამართალდამცავ ორგანოებში ხშირია პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების შემთხვევები. მოქალაქეთა განცხადებების 50%-მდე სწორედ საჯარო უწყებებში

პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებას ეხება. სამსახურის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მაჩვენებელი დაბალია საჯარო უწყებებში. ზემოაღნიშნული მიუთითებს საჯარო დაწესებულებების მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე.

**ამოცანა 6**

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების თანამშრომელთა სათანადო კვალიფიკაციით და ცოდნით უზრუნველყოფა პირადი ცხოვრების უფლების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების შესახებ.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ძალადობის მსხვერპლი ქალები, არასრულწლოვნები.

**აქტივობა/შინაარსი:**

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების პროფესიული გადამზადება, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების პირადი ცხოვრების ხელყოფის შემთხვევებზე სათანადო რეაგირების უზრუნველსაყოფად.

**დასაბუთება**

2021 წლის დეკემბრის ცვლილებების შედეგად, სწორედ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობა ვრცელდება სსკ-ის 157-157[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. ვინაიდან პრაქტიკაში ხშირია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებზე ზემოქმედების მცდელობა/მუქარა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გასაჯაროების გზით, მნიშვნელოვანია, აღნიშნული უწყების თანამშრომლების პროფესიული გადამზადება მსგავს შემთხვევებზე მყისიერი და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

## სიტყვის, მედიისა და გამოხატვის თავისუფლება

**ამოცანა 1**

მედიის თავისუფლების და პლურალიზმის შემდგომი მხარდაჭერა და ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმის გაუმჯობესება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

მედიააქტორები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის შემადგენლობა საკანონმდებლო ცვლილებებით შეიცვალოს იმგვარად, რომ მოიცვას, ასევე, ინფორმაციის შეგროვებასა ან/და დამუშავებაში ხელშეშლის დასჯადობა;

ii. ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველსაყოფად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აიკრძალოს იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ჩხრეკა-ამოღება, რომელიც შეიცავს პროფესიული საქმიანობის შედეგად/დროს მიღებულ ინფორმაციას;

iii. დამუშავდეს და პროაქტიულად გამოქვეყნდეს სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ასახავს, არამხოლოდ, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის დანაშაულს, არამედ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

**დასაბუთება**

ამჟამად, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელისშეშლის არსებული ფორმულირება ინფორმაციის გავრცელების ან გავრცელებისგან თავის შეკავების გარდა არ მოიაზრებს ჟურნალისტური საქმიანობის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტებს, მათ შორის, ინფორმაციის/მონაცემების მოპოვებას. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსი ჟურნალისტების, როგორც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლების, მიმართ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობას მხოლოდ აღნიშნული მუხლის საფუძველზე ადგენს. რაც შეეხება, ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობის დაცვის სამართლებრივ ჩარჩოს, გამოვლინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ფრაგმენტულად ითვალისწინებს ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობის დაცვის გარანტიებს. თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სრულად არ არის გამორიცხული ჩხრეკა-ამოღების პროცესში ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობის დარღვევის საფრთხეები. ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობის დარღვევამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოებისთვის ინფორმაციის შეუფერხებლად და დროულად მიწოდებისა და საჯარო დებატების წარმართვის პროცესს, ასევე, შესაძლოა მსუსხავი ეფექტი იქონიოს წყაროს მხრიდან ჟურნალისტისთვის ინფორმაციის გამხელის გადაწყვეტილებაზე.

## მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

**ამოცანა 1**

შეკრებისა და გაერთიანების უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის გარანტირება საერთაშორისო/ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. სახელმწიფოს მიერ, შეკრების უფლების ლეგიტიმური და პროპორციული შეზღუდვის დროს საერთაშორისო სტანდარტების განგრძობადი დანერგვა და ეფექტიანი აღსრულება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

საკანონმდებლო ცვლილებები შეკრებისა და გაერთიანების უფლების დასაცავად; ჰომო/ბი/ტრანსფობიისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენცია და ანტი-გენდერულ და ძალადობრივ ჯგუფებთან გამკლავების სტრატეგიის შემუშავება; საჯარო პირთა მხრიდან ჰომო/ბი/ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენების პრევენცია.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. შევიდეს ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შენობათა შესასვლელების ბლოკირების ბლანკეტური აკრძალვა გაუქმდება და სამართალდამცავებს მიენიჭებათ დისკრეციული უფლებამოსილება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვიტონ, დაუშვან თუ არა შენობათა შესასვლელების ბლოკირება ამ შემთხვევის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით;

ii. შევიდეს ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვით შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძვლები შესაბამისობაში მოვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრულ შეკრების უფლების შეზღუდვის საფუძვლებთან. კერძოდ, შეკრების უფლების შეზღუდვის საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;

iii. შევიდეს ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში და მას დაემატოს დებულება, რომელიც განსაზღვრავს შეკრების ადგილისა და დროის შეზღუდვის შესახებ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას და დააწესებს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის სწრაფ ვადას;

iv. შევიდეს ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც, ტრანსპორტის სავალი ნაწილის ჩამკეტი ან ტრანსპორტის მოძრაობის შემაფერხებელი შეკრების შესახებ წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებიდან გათვალისწინებული იქნება გამონაკლისი - სპონტანური შეკრებების შემთხვევებში არ იმოქმედებს სახელმწიფო ორგანოების წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება; განისაზღვროს სპონტანური შეკრების დეფინიცია;

v. შევიდეს ცვლილება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვით შეკრების მონაწილეებისათვის სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ გაფრთხილების მიცემისას სამართალდამცავი პირები ვალდებული იქნებიან ასევე მიუთითონ, თუ რომელი სახის სპეციალური საშუალების გამოყენებას აპირებენ ისინი შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ;

vi. შევიდეს ცვლილება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვით იძულების სპეციალური საშუალებების, არალეტალური ჭურვისა და წყლის ჭავლის გამოყენების საფუძვლები შესაბამისობაში მოვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ, - გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტთან სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.[28]

vii. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობის და დავის განხილვის სპეციალური ვადების გათვალისწინება დაგეგმილი შეკრებისთვის დაწესებულ შეზღუდვებზე დროული სასამართლო კონტროლის

[28] ადამიანის უფლებათა ცენტრი, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება საქართველოში -კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ძირითადი ხარვეზები, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/272/geo/, [25.07.2023].

მექანიზმის ამოქმედების მიზნით; იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის განხილვა ვერ ესწრება უშუალოდ შეკრებამდე, საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, სასამართლოსთვის შუალედური გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების მინიჭება;

viii. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში სპონტანური შეკრების დეფინიციის განსაზღვრა. ამასთან, კანონმდებლობით წინასწარი გაფრთხილების ზოგადი წესიდან გამონაკლისის დადგენა, როდესაც შეკრების სპონტანური ბუნების გათვალისწინებით, შესაბამისი ორგანოების წინასწარი გაფრთხილება შეუძლებელია;

ix. შეკრებების მიმდინარეობისას სპეციალური საშუალების გამოყენების თითოეული შემთხვევის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ აღრიცხვა და ამ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

x. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად, სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მედია აქტორების შეკრების გაშუქების ხელშეწყობას და მათი უსაფრთხოების დაცვას;

xi. შეკრების მიმდინარეობისას სპეციალური საშუალებების გამოყენების საკანონმდებლო რეგულირების შესაბამისობის უზრუნველყოფა ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის სახელმძღვანელო პრინციპებთან;

xii. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და მინისტრთა კომიტეტის მიერ საქმეთა ჯგუფის „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ აღსრულების ზედამხედველობის პროცესში სახელმწიფოსთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულება;

xiii. ლგბტი ადამიანების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფისთვის ინტერსექტორული მუდმივმოქმედი პლატფორმის შექმნა;

xiv. ყველა სახელმწიფო ინსტიტუტისთვის ქცევის კოდექსის მიღება ან არსებულ ქცევის კოდექსებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა; ამ დოკუმენტებში სიძულვილის ენის განმარტების ასახვა, რათა გათვალისწინებული იყოს სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები და საჩივრების განხილვის ეფექტიანი მექანიზმები;

xv. სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, დაიწყოს დისკუსია და მუშაობა სიძულვილის ენის შესახებ მონაცემების შეგროვებასა და ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირის/უწყების განსაზღვრა;

**xvi.** სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, დაიწყოს დისკუსია ჰომო/ბი/ტრანსფობიისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციისა და ანტი-გენდერულ და ძალადობრივ ჯგუფებთან გამკლავების სტრატეგიის შემუშავებაზე; განისაზღვროს პასუხისმგებელი უწყება და გეგმის შესრულების პასუხისმგებლობა გადანაწილდეს ინტერსექტორულად: სახელმწიფო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე.

**დასაბუთება**

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შეკრებისა და გაერთიანების უფლება, მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს საქართველოში არსებული კანონმდებლობა მოვიდეს ჰარმონიზაციაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. კანონმდებლობაში

დარჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც ხელს უშლის მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების სრულფასოვან რეალიზაციას.[29]

## რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

**ამოცანა 1**

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრა საკანონმდებლო დონეზე და რელიგიური ორგანიზაციებისათვის თანაბარი პირობების შექმნა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

რელიგიის თავისუფლება, რელიგიური გაერთიანებები, შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. უზრუნველყოფილი იყოს რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის მომწესრიგებელი ნორმები არ იყოს დისკრიმინაციული;
ii. უზრუნველყოფილი იყოს არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების მიერ ახალი სალოცავი ადგილების აშენებისას არ შეიქმნას დისკრიმინაციული ბუნების დაბრკოლებები;
iii. დაიწყოს რესტიტუციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავება ისტორიული ქონების დაბრუნებისთვის;
iv. უზრუნველყოფილი იყოს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება.

**დასაბუთება**

წარმოდგენილი აქტივობები მიმართულია არსებული სისტემური პრობლემების აღმოფხვრის მიზნებისთვის, როგორებიცაა დისკრიმინაციული კანონმდებლობა, რელიგიური გაერთიანებების საკუთრებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ახალი სამლოცველოების მშენებლობისთვის შექმნილი დისკრიმინაციული ბარიერები, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე არაეფექტიანი გამოძიება.

[29] უფლებები საქართველო, შეკრების თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.rights.ge/ka/accountnew/18, [25.07.2023].

## პრიორიტეტი II - ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის გაძლიერება და ამისთვის სისტემური გარანტიების გაუმჯობესება

---

## ჯანმრთელობის უფლება

**ამოცანა 1**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებების გაუმჯობესების მიზნით, დაავადებათა პრევენციისა და კონტროლისკენ მიმართული კომპლექსური ღონისძიებების გაუმჯობესება; ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების ყველასთვის თანაბრად უზრუნველყოფა; ხარისხიანი სერვისებისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მქონე პირები და მუდმივი ბინადრობის ნებართვისა და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე უცხოელები.

**აქტივობა/შინაარსი:**

C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოხდეს მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მქონე პირთა და იმ უცხოელთა ჩართვა, რომელთაც აქვთ საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა ან მინიჭებული აქვთ საქართველოში საერთაშორისო დაცვა (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი).

**დასაბუთება**

დღეის მდგომარეობით, C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ იმ უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებაში არიან მოთავსებულები. იმავდროულად, ადამიანებს, რომელთაც მუდმივი ბინადრობის ნებართვა ან საერთაშორისო დაცვის სტატუსი აქვთ, არ გააჩნიათ ამ პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ ადამიანებს საქართველოსთან აქვთ ძლიერი და ხანგრძლივი ემოციურ-სამართლებრივი კავშირი, ისევე როგორც, ამ სტატუსის მისაღებად აკმაყოფილებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს. შესაბამისად, მუდმივი ბინადრობის, ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს უნდა მიეცეთ აღნიშნული სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც თავად ამ ინფექციური დაავადების გავრცელების ბუნებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ უშუალოდ გამოყოფილი სამიზნე ჯგუფების, არამედ ქვეყანაში საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

**ამოცანა 2**

პაციენტთა უფლებების დაცვა ექიმებისთვის დაწესებული პროფესიულ პასუხისმგებლობაზე ზედამხედველობისა და აღსრულების მექანიზმების გაძლიერებით.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

მედპერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობა.

**აქტივობა/შინაარსი:**

პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მედპერსონალის მიმართ დადგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით, აღსრულების კონტროლისათვის საჭირო მექანიზმების შემოღება.

**დასაბუთება**

საჭიროა პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მედპერსონალის მიმართ გამოტანილი პროფესიული პასუხისმგებლობის დამდგენი გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლი, რადგან პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ექიმს სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება შეჩერებული აქვს, მაგრამ მაინც ცხადდება სამსახურში და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს პროფესიულ საქმიანობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოხდეს, ერთი მხრივ, ასეთი გადაწყვეტილებების მიღება დამდგარ შედეგებთან მიმართებაში პროპორციული სიმკაცრით, ხოლო, მეორე მხრივ, გამოტანილი გადაწყვეტილებების პრაქტიკაში აღსრულების კონტროლისათვის საჭირო ზომების გატარება.[30]

## განათლების ხელმისაწვდომობა

**ამოცანა 1**

განათლების ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისთვის

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ეთნიკური უმცირესობები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. უზრუნველყოფილი იყოს განათლების ტერიტორიული მისაწვდომობა ყველასთვის, რადგან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების უმრავლესობაში არ ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.
ii. აღმოიფხვრას პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება ენობრივი დისბალანსისა და ბილინგვური განათლების სიმცირის გამო, კერძოდ მცირეა ისეთი საბავშვო ბაღები, რომლებიც ადგილობრივ თემებს შესთავაზებს ბილინგვური განათლების შესაძლებლობას.
iii. აღმოიფხვრას პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება შესაბამისი კადრების სიმცირის გამო, კერძოდ, საბავშვო ბაღების პერსონალი არ არის მომზადებული ეთნიკური უმცირესობების მოზარდებთან მუშაობისთვის.

**დასაბუთება**

[30] ადამიანის უფლებათა ცენტრი, სამედიცინო მომსახურებისას დაზარალებული მოქალაქეების სამართლებრივი პრობლემების ანალიზი, 2023, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/473/geo/, [25.07.2023].

როგორც სკოლამდელი, ისე სასკოლო დაწესებულებების სიმცირე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, პრობლემაა, რის გამოც, განათლების ან/და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა განსაკუთრებულად რთულდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის. ამასთანავე, მწვავედ დგას საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაციის საკითხიც.

ამჟამად საქართველოს მასშტაბით 1 668 ადრეული და სკოლამდელი განათლების[31] დაწესებულება ფუნქციონირებს. ამ ტიპის დაწესებულებების მისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისათვის. მაგალითად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არც ერთ[32] თემში არ არის საბავშვო ბაღი[33]. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 21 დასახლებაში[34] არ არის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების დაწესებულებები. რაც ცალსახად დისკრიმინაციულ ნიადაგზე არღვევს ბავშვების განათლების და განვითარების უფლებებს.

ამ მიმართულებით გამოიკვეთა რამდენიმე მთავარი პრობლემური საკითხი: 1) ტერიტორიული მისაწვდომობა, რადგან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების უმრავლესობაში არ ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. 2) ენობრივი დისბალანსი და ბილინგვური განათლების სიმცირე – მცირეა ისეთი საბავშვო ბაღები, რომლებიც ადგილობრივ თემებს შესთავაზებს ბილინგვური განათლების შესაძლებლობას. 3) შესაბამისი კადრების სიმცირე – საბავშვო ბაღების პერსონალი არ არის მომზადებული ეთნიკური უმცირესობების მოზარდებთან მუშაობისთვის.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, კვლავ მწვავეა იქ არსებული ინფრასტრუქტურის საკითხი. თუმცა, პოზიტიურად უნდა შეფასდეს მთავრობის ინიციატივა, რომელიც 800 სკოლის მშენებლობას და რეაბილიტაციას გულისხმობს.[35]

დამატებით, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კვლევებით, ასევე, საატესტატო თუ ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ ეთნიკური უმცირესობათა სკოლებში მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა.[36]

---

[31] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 263, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV, [25.07.2023].

[32] გარდა დაბა თამარისა

[33] საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 2022 წელი, გვ.27, [25.07.2023].

[34] იქვე.

[35] საქართველოს მთავრობის განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3L9xbyR [25.07.2023]

[36] საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 2022 წელი, გვ.33-52, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41Bqr2j

## შრომის უფლებები

**ამოცანა 1**

i. შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარება და გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
ii. შრომის უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერება სამუშაო ადგილებზე;

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

დამსაქმებელი და დასაქმებული პირები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. შრომის კანონმდებლობაზე საზედამხედველო მექანიზმების განვითარებისა და გაძლიერებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
ii. შრომის ინსპექციის მიერ სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და რეკომენდაციების შემუშავება კერძო და საჯარო სექტორში სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების მექანიზმების გასაძლიერებლად;
iii. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების სერტიფიცირებისათვის სწავლების განმახორციელებელი აკრედიტირებული ორგანიზაციებისა და სასწავლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა;
iv. სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა;
v. იმ საჯარო და კერძო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა, სადაც დასაქმებულია სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
vi. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან რეგულარული სამუშაო შეხვედრების და დისკუსიების წარმართვა არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

**დასაბუთება**

შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების აღსრულების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურმა, ერთი მხრივ, გააძლიეროს საზედამხედველო მექანიზმები, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს კერძო და საჯარო სექტორში სამუშაო ადგილზე შრომის უფლებების დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მექანიზმების შექმნას. ამ მიზნით, შრომის ინსპექციის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ევროკავშირის დირექტივების პრაქტიკაში დანერგვა და იმპლემენტაცია, რაც, შესაძლოა საჭიროებდეს, როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციურ ცვლილებებს. შრომის ინსპექციის სამსახურს ასევე შეუძლია შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტები და რეკომენდაციები კერძო და საჯარო სექტორში დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისათვის შრომის უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით.

სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ

აკრედიტირებული სასწავლო დაწესებულებებისა და პროგრამების რაოდენობასა და ხელმისაწვდომობაზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურს მუდმივი კომუნიკაცია და თანამშრომლობა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან სამუშაო ადგილებზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

**ამოცანა 2**

შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერება; სოციალური დიალოგის ეფექტიანი და განგრძობადი განვითარება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე;

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

დამსაქმებელი და დასაქმებული პირები; პროფესიული კავშირები და გაერთიანებები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;
ii. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება;
iii. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომის მედიატორების რაოდენობის გაზრდა და მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესება;
iv. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომის მედიატორების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
v. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომით მედიაციებში ჩართულობისა და წარმატებული შრომითი მედიაციის შემთხვევების გაზრდა;
**vi.** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომის მედიატორებთან რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და დისკუსიების წარმართვა არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

**დასაბუთება**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება. სამინისტროს მიერ შრომითი მედიაციის პროცესში ეფექტურად ჩართვას პრაქტიკაში აფერხებს შრომის მედიატორების სიმცირე და მათი მზაობა, რისთვისაც აუცილებელია, რომ სამინისტრომ გაზარდოს შრომის მედიატორების რაოდენობა და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შესთავაზოს შესაბამისი სამუშაო პირობები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ შრომის მედიაციის პროცესი წარმატებით დასრულდეს და მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას, რაშიც სამინისტროს როლი განსაკუთრებით დიდია. ამ მიზნით, სამინისტრომ აქტიურად უნდა აწარმოოს კომუნიკაცია შრომის მედიატორებთან მათ

მიერ გაწეული ძალისხმევის შესახებ ინფორმაციის მიღების, არსებული პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის გზების მოძიების მიზნით.

**ამოცანა 3**

შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაფერისი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

შრომის ინსპექციის საქმიანობა

**აქტივობა/შინაარსი:**

i. შრომის ინსპექციის სამსახურში ინსპექტორების რაოდენობის გაზრდა;
ii. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული შრომის ინსპექტირებებისა და შემოწმებული მოქმედი სუბიექტების პროცენტული მაჩვენებლის რაოდენობის გაზრდა;
iii. შრომის ინსპექციის სამსახურის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა;
iv. შრომის ინსპექტორების განგრძობადი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა;

**დასაბუთება**

შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ თავისი ფუნქციების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია სამსახურის ადამიანური და ფინანსური რესურსებით გაძლიერება, რაც შეიძლება გამოიხატოს შრომის ინსპექტორების რაოდენობის გაზრდასა და მათი პროფესიული განვითარების გაძლიერებაში. შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს განხორციელებული ინსპექტირებების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდას, რაც დადებითად აისახება შემოწმებული სუბიექტების პროცენტულ რაოდენობის მაჩვენებელზე. შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების საჭიროებაზე არაერთ საერთაშორისო და ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშებშია საუბარი. (ევროკავშირი, ევროსაბჭო, ღირსეული შრომის პლატფორმა).

## საკუთრების უფლება

**ამოცანა 1**

საკუთრების უფლების დაცვა აღსრულების ეროვნული სააგენტოს საქმიანობაში; საკუთრების უფლების დაცვა სისხლის სამართალწარმოებაში.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

აღსრულება; ნივთიერი მტკიცებულების შენახვის წესი

**აქტივობა/შინაარსი:**

i. საკანონმდებლო დონეზე მოწერიგდეს სსიპ „აღრულების ეროვნული სააგენტოს“ მიერ საკუთრების უკანანო მფლობელობიდან გამოთხოვის (გამოსახლების) საქმეების წარმოების რიგითობის განმსაზღვრელი დროებითი წესი;
ii. გადაიხედოს ნივთიერი მტკიცებულების შენახვის წესები სისხლის სამართალწარმოებისას;

**დასაბუთება**

საკუთრების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის საქმეებზე სასამართლო წარმოება მიმდინარეობს წლების განმავლობაში, კანონით დადგენილი ვადების დაუცველად.[37] პრობლემურია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების დროული აღსრულებაც. არ არსებობს აღსრულების რიგითობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი.

პრობლემურია, ასევე, საკუთრების უფლების შეზღუდვა სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში, რა დროსაც, გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც უფლების შეზღუდვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ან/და არაპროპორციულად ხდება.[38]

## გარემოს დაცვის უფლება

**ამოცანა 1**

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

i. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღება და აღსრულება;
ii. საქართველოს მოსახელობა, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, დაინტერესებული პირები.

**აქტივობა/შინაარსი**

i. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ქვეშ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების კუთხით გათვალისწინებული დირექტივების დანერგვა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში;
ii. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გარემოს დაცვის კუთხით ქვეყანაში მიღებული კანონმდებლობის სათანადო აღსრულება. მათ შორის, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის სათანადო აღსრულება;
iii. საქართველოს მიერ კლიმატის ცვლილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის, პარიზის შეთანხმების ქვეშ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

[37]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, 172, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf, [25.07.2023].
[38] იქვე., 173.

iv. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავებასა და აღსრულებაზე პასუხისმგებელი საჯარო უწყებების ინსტიტუციური გაძლიერება, შესაბამისი ადამიანური, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვა;

v. კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა. მათ შორის, შესაბამისი საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების სისტემებისა და მათი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

**დასაბუთება**

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულები და შესაბამისი დირექტივების იმპლემენტაციის მიზნით მიიღოს მთელი რიგი კანონები. ამ ვალდებულებათა ნაწილი ამ ეტაპამდე შეუსრულებელი რჩება.

რაც შეეხება უკვე მიღებულ კანონმდებლობას, როგორიც არის, მაგალითად გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, გარდა იმისა, რომ ის გარკვეულწილად ხარვეზიანია, პრობლემურია მისი პრაქტიკაში აღსრულების საკითხები. პრობლემები დაკავშირებულია ამ კანონით განსაზღვრული პროცედურების დარღვევასა და განსაზღვრული გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით სარგებლობის არასათანადო უზრუნველყოფასთან. ამასთან, ამ კანონში შესული უახლესი ცვლილებების მიხედვით, მის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა გადავიდა გარემოს ეროვნულ სააგენტოზე, რასთან დაკავშირებითაც სამოქალაქო სექტორის მოსაზრებები და შენიშვნები გათვალისწინებული არ ყოფილა. კონკრეტულად, სამოქალაქო საზოგადოება უარყოფითად აფასებდა ცვლილებას, ვინაიდან იზრდებოდა კორუფციასთან დაკავშირებული საფრთხეები. ამიტომ მნიშნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების შინაარსობრივი და ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა. ასევე, გარემოსდაცვით სფეროში მოქმედი საჯარო უწყებების გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულებების სისტემების გაუმჯობესება.

პრობლემები ვლინდება ასევე გარემოსდაცვითი ზედამხედველების განხორციელებასა და კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობაში, რისთვისაც აუცილებელია ამ უწყებების შესაბამისი ცოდნით, უნარებით, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვა, მათ საქმიანობაში კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა.

**ამოცანა 2**

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ფართო საზოგადოების დროულად წვდომის უზრუნველყოფა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის საჯაროობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

i. გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით სათანადოდ სარგებლობა;

**ii.** საქართველოს მოსახელობა, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, დაინტერესებული პირები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. საქართველოს კანონმდებლობითა და ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით სათანადოდ სარგებლობის უზრუნველყოფა;
ii. გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;
iii. გარემოს მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი და სათანადო კვლევების წარმოება;
iv. ინფორმაციის შეგროვებისა და მიმოცვლის კუთხით საჯარო უწყებების ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება, ერთიანი საინფორმაციო ბაზების შექმნა;
v. ინფორმაციის შეგროვების, შესაბამისი კვლევების წარმოების კუთხით სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება;
vi. გარემოსდაცვითი ინფორმაციის პროაქტიული საჯარო გამოქვეყნება, რათა დაინტერესებულმა პირებმა მარტივად და დროულად შესძლონ საჭირო ინფორმაციის მიღება;
vii. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად და დროულად მიწოდების უზრუნველყოფა;
viii. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების შინაარსობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობითა და ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული სტანდარტების დაცვით; მათ შორის, საზოგადოების დროული ინფორმირება, მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, მათთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, საჯარო განხილვებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა როგორც ფიზიკურად, ასევე ელექტრონული საშუალებებით და სხვა.
ix. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა;

**x.** საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, რათა მათ შინაარსობრივად შესძლონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა.

**დასაბუთება**

გარემოსდაცვით ინფორმაციასთან დაკავშირებით პრობლემები ვლინდება როგორც უშუალოდ ამ ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების, ასევე მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ეტაპებზე. განსაკუთრებით პრობლემური იყო ამ უფლებით სათანადოდ სარგებლობა ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებულ პროცესებში. ერთი მხრივ, არ არსებობდა სათანადო კვლევები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა შეფასებულიყო პროექტის გავლენა ადამიანსა და გარემოზე, მეორე მხრივ კი, დაინტერესებული პირები დაბრკოლებებს აწყდებოდნენ არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხითაც. შესაბამისად, გასაუმჯობესებელია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

პრობლემები ვლინდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მხრივაც. ხშირად მონაწილეობას აქვს ფორმალური ხასიათი და იმგვარად არის ორგანიზებული, რომ დაბრკოლებები ექმნებათ დაინტერესებულ პირებს დაესწრონ საჯარო განხილვებს.

განსაკუთრებით პრობლემური იყო ეს საკითხი ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებულ პროცესებშიც.

პრობლემურია საზოგადოების შინაარსობრივი მონაწილეობა კანონმდებლობის შემუშავების დროსაც. ხშირად საზოგადოების მოსაზრებები არაა სათანადოდ გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ჩართულობას აქვს მხოლოდ ფორმალური სახე. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში იმ ცვლილებების შეტანის დროს, რომლითაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების დელეგირება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის მოხდა. შესაბამისად, საჭიროა ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების შინაარსობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

**ამოცანა 3**

სუფთა ჰაერსა და ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივად გაუმჯობესება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

i. სუფთა ჰაერსა და წყალზე ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის დაცვა;
**ii.** საქართველოს მოსახელობა, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, დაინტერესებული პირები.

**აქტივობა/შინაარსი**

i. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ქვეშ ჰაერისა და წყლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულება - შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შემუშავება და კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება;
ii. წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება:
    - წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგი;
    - ამ სფეროში უკვე არსებული რეგულაციების მკაცრი აღსრულება;
    - განახლებადი და სუფთა ენერგიის წყაროების განვითარების ხელშეწყობა;
    - სუფთა სასმელ წყალზე მარტივად წვდომის უზრუნველყოფა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში.
iii. წყლისა და ჰაერის მუდმივი მონიტორინგი;
iv. წყლისა და ჰაერის ხარისხის შესახებ საზოგადოების დროული და პროაქტიული ინფორმირება;
v. წყლისა და ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის მარტივად და დროულად უზრუნველყოფა;
vi. შესაბამისი საჯარო უწყებების მიერ რეგულირებული - ნებადართული და ლიცენზირებული - საქმიანობების მუდმივი კონტროლი ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხზე ამ საქმიანობების გავლენის შესაფასებლად; დარღვევების ან უკანონო საქმიანობების გამოვლენის შემთხვევაში მათზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების გაუმჯობესება.

vii. მონიტორინგსა და კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხიმგებელი საჯარო უწყებების შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვა;
viii. ჰაერისა და წყლის მონიტორინგისთვის საჭირო ტექნოლოგიების შეძენა, საჭირო ადგილებზე განთავსება და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

**დასაბუთება**

ჰაერისა და წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ქვეყანამ შეასრულოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების ქვეშ ნაკისრი ვალდებულებები, მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა და სათანადოდ აღასრულოს ის. ამ ეტაპამდე, ამ ვალდებულებების ნაწილი შეუსრულებელი რჩება.

აუცილებლია ჰაერისა და წყლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, რისთვისაც მნიშვნელოვანია შესაბამისი მატერიალურ-ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესება. ამასთან, პრობლემურია შესაბამისი საჯარო ორგანოების მიერ ლიცენზირებული, ნებადართული და უკანონო საქმიანობების კონტროლი და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი მექანიზმების გამოყენება. ამიტომ აუცილებელია ამ ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება და სათანადო რესურსებით აღჭურვა.

**ამოცანა 4**

ნარჩენების მართვა ადამიანის ცხოვრებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

i. ნარჩენებით დაბინძურების შემცირება.
**ii.** საქართველოს მოსახელობა, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, დაინტერესებული პირები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. ნარჩენების მართვის სფეროში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ქვეშ ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულება, შესაბამისი კანონმდებლობის მიღება და აღსრულება;
ii. ნარჩენების მართვის კოდექსის დახვეწა და მისი სათანადოდ აღსრულება, მათ შორის, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის დანერგვა;
iii. შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოების მიერ ნარჩენებით დაბინძურების სათანადო მონიტორინგი და კანონმდებლობის აღსრულება.
iv. ნაგავსაყრელების, მათ შორის, უკანონო ნაგავსაყრელების, მონიტორინგი და კონტროლი, შესაბამისი აღსრულების მექანიზმების გამოყენება;
v. ნარჩენებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;
vi. ნარჩენების სათანადოდ მართვისთვის - შეგროვება, სეპარაცია, გადამუშავება, განთავსება - საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა და გაუმჯობესება;
vii. ცირკულარული ეკონომიკის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;
**viii.** ნარჩენებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

**დასაბუთება**

ნარჩენების ეფექტიანი მართვის კუთხით მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის კოდექსის სათანადოდ აღსრულება. იმისთვის, რომ ქვეყანამ შეამციროს ნარჩენებით დაბინძურება, ერთი მხრივ, აუცილებელია უკვე მოქმედი რეგულაციების სათანადოდ აღსრულება და ამ რეგულაციებთან სხვადასხვა საქმიანობის შესაბამისობის მონიტორინგი, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება - ნარჩენების შეგროვებისთვის, დახარისხებისთვის, გადამუშავებისთვის, განთავსებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ამ ეტაპზე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

**ამოცანა 5**

გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

i. გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებით სათანადოდ სარგებლობა - გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა.
ii. საქართველოს მოსახელობა, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, დაინტერესებული პირები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. ქვეყანაში გარემოს დაცვის კუთხით არსებული გარემოსდაცვითი და ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, შესაბამისი კანონმდებლობის მიღება;
ii. გარემოსდაცვით ინფორმაციაზე მარტივად და დროულად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
iii. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული კვლევების წარმოებისა და მეცნიერული ცოდნის განვითარების/დაგროვების ხელშეწყობა, რათა საზოგადოებას, საჭიროების შემთხვევაში, ხელი მიუწვდებოდეს საჭირო მტკიცებულებებზე;
iv. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა შინაარსობრივი ჩართულობის უზრუნველყოფა;
v. სხვადასხვა საჯარო უწყებაში გასაჩივრების მექანიზმების გაუმჯობესება;
vi. სასამართლოსა და მოსამართლეთა შესაძლებლობების გაზრდა გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საქმეების განსახილველად;
vii. გარემოსდაცვითი საქმეების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე მოსამართლეთა გადამზადება - მათი შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვა;
**viii.** გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებებისა და სხვა გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

**დასაბუთება**

პრაქტიკაში ხშირად პრობლემურია გარემოს დაცვის საკითხებზე მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით სათანადოდ სარგებლობა. სასამართლო პროცესი დროში გაწელილია, რთულია შესაბამისი მტკიცებულებების, ინფორმაციის მოპოვება და სხვა. ამის

თვალსაჩინო მაგალითია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეები. მაგალითისთვის, საიამ და მწვანე ალტერნატივამ ნამახვანის ჰესების კასკადის პორექტთან დაკავშირებით ადგილობრივების ინტერესების დასაცავად ჯერ კიდევ 2020 წლის 06 აპრილს მიმართეს სარჩელით სასამართლოს და მოითხოვეს იმ ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტზე დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცა. თუმცა, დღემდე მოსამზადებელი სხდომაც არაა ჩანიშნული. გარემოსდაცვით საკითხებზე მარლმსაჯულება უნდა იყოს სწრაფი და ეფექტიანი, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი გავლენა ადამიანსა და გარემოზე. ამიტომ მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის გაუმჯობესება და ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული სტანდარტების დანერგვა.

**ამოცანა 6**

გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

i. გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
ii. საქართველოს მოსახელობა, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, დაინტერესებული პირები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება:
   - გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება სასკოლო პროგრამებში;
   - მასწავლებლების გადამზადება;
   - შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და საინფორმაციო მასალების მომზადება;
   - სასწავლო დაწესებულებების წახალისება, შესთავაზონ პირებს გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კურსები, სასწავლო და კვლევითი პროგრამები;
   - გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული პროფესიების პოპულარიზაცია;
   - შესაბამისი საჯარო უწყებების მიერ გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშრებით ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების მომზადება დაინტერესებული პირებისთვის;
   - არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

ii. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სოციალური მედიის გამოყენება გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ მიზნით სხვადასხვა საინფორმაციო ბროშურისა თუ ვიდეორგოლის მომზადება;
iii. საჯარო შეხვედრების ორგანიზება:
   - ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა საჯარო შეხვედრის ორგანიზება, გარემოსდაცვითი აქტივობების განხორციელება, მათ შორის, ხის დარგვის სამუშაოები, დასუფთავების აქციები და სხვა;

- საჯარო ლექციების, პანელური დისკუსიების და სხვა აქტივობების გამართვა.

საგრანტო და სხვა წამახალისებელი პროგრამების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ.

**დასაბუთება**

გარემოს დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების აქტიური დაგეგმვა და განხორციელება. ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ დაბალია ცნობიერება გარემოსდაცვით საკითხებზე და ქვეყანა გარემოს დაცვის სფეროში განიცდის პროფესიონალების ნაკლებობას.

იმისთვის, რომ საქართველო სათანადოდ გაუმკლავდეს თანამედროვე გარემოსდაცვით გამოწვევებს, გარემოსდაცვითი განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადრეული ასაკიდან - ბაღებსა და სკოლებში. ამისთვის უნდა შემუშავდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, გადამზადდნენ მასწავლებლები და სხვა. ასევე, საჭიროა გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული პროფესიების პოპულარიზაცია, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური თანამშრომლობა. ქვეყანაში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით უნდა მიმდინარეობდეს უფრო აქტიური საინფორმაციო კამპანია, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. ამასთან, აუცილებელია ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის მეტად ჩართვა სხვადასხვა გარემოსდაცვით ღონისძიებაში, მათთან საჯარო შეხვედრების ორგანიზება და სხვა.

## ბიზნესი და ადამიანის უფლებები

**ამოცანა 1**

ბიზნესი და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ჩარჩო სტანდარტების დამკვიდრება, მათ შორის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზით.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ბიზნეს კორპორაციები, დასაქმებულები.

**აქტივობა/შინაარსი**

i. გაძლიერდეს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ინსტიტუციური ჩარჩო და სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობები საქართველოში სოციალური დაცვის სფეროსთვის;

ii. გაძლიერდეს ადამიანის უფლებების პატივისცემა ბიზნეს საწარმოების საქმიანობაში;

iii. დასაქმებული პირების, განსაკუთრებით მოწყვლად სიტუაციებში მყოფთა, გაძლიერება, რათა დაუბრკოლებლად ისარგებლონ თავიანთი უფლებებით.

**დასაბუთება**

შემოთავაზებული აქტივობები მიმართულია, რათა უზრუნველყოს ბიზნეს კორპორაციების საქმიანობის შესაბამება ადამიანის უფლებების საუკეთესო სტანდარტებთან, გააძლიეროს

მათი შესაძლებლობები, უზრუნველყონ ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სამუშაო გარემო-პირობები, ასევე, დასაქმებულები ინფორმირებულნი იყვნენ თავიანთი უფლებების შესახებ, რათა ეფექტიანად შეძლონ მათი პრაქტიკაში რეალიზება.

## პრიორიტეტი III - თანასწორობის კონსტიტუციური გარანტიების ასახვა სახელმწიფო პოლიტიკაში და მათი დანერგვა პრაქტიკაში და ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე

---

### თანასწორობისა და უმცირესობათა უფლებები

**ამოცანა 1**

თანასწორობისა და უმცირესობათა უფლებები - სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობა

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

i. თვითმმართველობის განხორციელებაში ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა ყველასთვის;
ii. მოწყვლადი ჯგუფების თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა საარჩევნო პროცესებში.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. საარჩევნო კანონმდებლობის და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის გადახედვა სავალდებულო გენდერული კვოტის მოქმედების ეფექტიანი აღსრულების მექანიზმის განსაზღვრის მიზნით;
ii. გენდერული თანასწორობის მექანიზმების - გენდერული საბჭოების (ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე) გაძლიერება;
iii. ქალი კანდიდატების/პოლიტიკოსების ცნობიერების ამაღლება (პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ინსტრუმენტები, რეგისტრაციის პროცედურები, ტექნოლოგიები და ა.შ.);
iv. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში ცვლილებების განხორციელება - სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული კვლევისას ან სტატისტიკის თუ სხვა მონაცემთა შეკრებისას გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების ვალდებულების შესახებ.

**დასაბუთება**

შემოთავაზებული აქტივობები ეფუძნება ორგანიზაცია „ღია სივრცე კავკასიის“ მიერ განხორციელებულ საქმიანობაში გამოვლენილ გამოწვევებს, ორგანიზაციების ექსპერტთა სამუშაო და პრაქტიკულ გამოცდილებას, ამასთან, აქტივობების ნაწილი ეფუძნება კვლევებს:

გენდერული თანასწორობა საქართველოში, ბარიერები და რეკომენდაციები[39] და სავალდებულო გენდერული კვოტა საქართველოში, 2022.[40]

**ამოცანა 2**

თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და მისი ეფექტიანი აღსრულების განგრძობადი გაუმჯობესება.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის დაცვის ქვეშ მყოფი პირები

**აქტივობა/შინაარსი**

i. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმების გადახედვა;
ii. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანის მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება.
iii. ტრანს ადამიანების პირადი ცხოვრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა და მათი გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია; გენდერის სამართლებრივი აღიარების სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მექანიზმის შექმნა; ამ მიზნით, ა) ინტერსექტორული სამუშაო ჯგუფის შექმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ლგბტქი სათემო ორგანიზაციების და აქტივისტების ჩართულობით, გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების და საერთაშორისო სტანდარტების შესწავლის მიზნით; ბ) საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტების მომზადება და პარლამენტისთვის წარდგენა; გ) შექმნილი მექანიზმების თაობაზე შესაბამისი უწყებების და პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება.

**დასაბუთება**

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის მიხედვით არც წინა წელს, არ შეიმჩნეოდა პროგრესი დისკრიმინაციის წინააღმდეგ სახელმწიფოს ბრძოლაში.[41] უფრო მეტიც, კვლავ ხშირი იყო დისკრიმინაციული გამონათქვამები მაღალი თანამდებობის პირების, პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების მხრიდან, რაც დამაზიანებელად შეფასდა თანასწორობისათვის.

**ამოცანა 3**

[39] ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wo8gi, [25.07.2023].
[40] ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/ka/georgia/publications/electoral-gender-quotas, [25.07.2023].
[41] საქართველოს სახალხო დამცველი, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, სპეციალური ანგარიში, 2022, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023041111202542068.pdf, [25.07.2023].

სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და საჯარო პროცესებში მონაწილეობის გაუმჯობესებისა და სრულფასოვანი სამოქალაქო თანასწორობის მისაღწევად.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ეთნიკური უმცირესობები

**აქტივობა/შინაარსი**

i. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების ფუნქციონირების საკითხის ანალიზი;
ii. „ბილინგვური განათლების ხელშეწყობა ეთნიკურ უმცირესობათა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში“ პროგრამის განხორციელების მონიტორინგი/ანალიზი;
iii. უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო ენის უფასოდ სწავლების საკითხის ადვოკატირება სახელმწიფო უწყებებთან.
iv. სკოლებში ქართულ სექტორებში გაუქმდეს ენის შესწავლის მსურველი მოსწავლეების რაოდენობის შეზღუდვა და სურვილის არსებობის შემთხვევაში დაკომპლექტდეს მცირე ჯგუფები, რომლებიც შეისწავლიან ქართულ ენას.
v. ახალგაზრდებს, რომლებიც სასწავლებელში ჩაირიცხნენ 4+1 პროგრამის საფუძველზე, ქართული ენის ერთწლიანი კურსის გავლის შესაძლებლობა გრანტის ვერმოპოვების შემთხვევაშიც მიენიჭოთ საფასურის გარეშე.
vi. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არეალებში არსებულ სკოლებში გამოიყოს ქართული ოთახი, სადაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ ქართული ენის უფასოდ შესწავლა. მათ შორის, სწავლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის, ზრდასრულებისა და ასაკოვანი მოსახლეობისთვის.

**დასაბუთება**

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ენობრივი ბარიერი სახელმწიფოს მხრიდან დღემდე მოუგვარებელი ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა როგორც სახალხო დამცველის ბოლო (2022 წლის) საპარლამენტო ანგარიშის, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით.[42] განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს სწორედ სკოლამდელი აღზრდისა და სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლების საკითხი. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წელი) მონიტორინგის ანგარიშის, ასევე, სახალხო დამცველის ანგარიში მიხედით კვლავ მიუღწეველია მულტილინგვური (ბილინგვური) სწავლების მოდელის დანერგვა.[43]

ასევე, შემოთავაზებული აქტივობების ნაწილი ეფუძნება ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ წარმართულ აქტიურ კომუნიკაციას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

[42] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf, [25.07.2023].
[43] ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წელი) მონიტორინგის ანგარიში, 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/9lpj3, [25.07.2023].

მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან. კონსულტაციების საფუძველზე გამოვლინდა, რომ მათთვის მწვავე პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ენის შესწავლაზე ხელმისაწვდომობა. სექტორული სწავლების ფარგლებშიც კი დადგენილია მსურველთა განსაზღვრული რაოდენობა, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში არ ხდება მსურველთა ინტერესის გათვალისწინება და მსურველთა მცირე ჯგუფისთვის  არ ხორციელდება ქართული ენის სწავლება. ასევე, 4+1 პროგრამის საფუძველზე სასწავლებლებში სტუდენტები გრანტის ვერ მოპოვების შემთხვევაში ვალდებულნი არიან გადაიხადონ საფასური, რაც ხელმისაწვდომობის პრობლემას წარმოშობს.

**ამოცანა 4**

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე მსხვერპლზე ორიენტირებული რეაგირების გაუმჯობესება, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების გათვალისწინებით.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის  მსხვერპლები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. სამოქალაქო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა თანასწორობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საკითხებზე შემუშავებული დოკუმენტების განახლებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანის მიზნით;
ii. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებზე ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი;
iii. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის აღმოფხვრის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით ცნობიერების ამაღლების კამპანიაში მონაწილეობა.
iv. სექსუალური შევიწროების საკითხებზე სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლების და ინდივიდუალური მოსამართლეების პროფესიონალიზმის გაზრდა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
v. საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის სათანადო იდენტიფიცირება და გამოვლენა, ამ მიმართულებით შესაბამისი პროფესიონალების შესაძლებლობების გაძლიერება.
vi. ნებისმიერი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმის გაუმჯობესება და მხარდამჭერი სერვისების შექმნა, კერძოდ:
    - შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების კვალიფიკაციის ამაღლება მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების თაობაზე;
    - შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინიტროს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობით სამუშაო ჯგუფის შექმნა მსხვერპლთა მხარდამჭერი სერვისების კონცეფციის შემუშავების მიზნით;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს მიერ მხარდამჭერი სერვისების შექმნა სამართალდამცავ უწყებებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობით.

## დასაბუთება

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წელი) მონიტორინგის ანგარიშის და  პროკურატურის სამოქმედო გეგმა ამოცანა 2.6-ის მიხედვით, აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს მუშაობის სურვილი და საჭიროება თავადაც გაცნობიერებული აქვს. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების რიცხვი, სახელმწიფო უწყებების მხრიდან წინა სამოქმედო გეგმაში გეგმის ვერ შესრულებასა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის აუცილებლობას ცხადყოფს.[44]

ასევე, ერთი მხრივ, თვალსაჩინოა, სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლების პროფესიონალიზმის ნაკლებობა, როგორც თბილისში, ასევე, რეგიონებში. მეორე მხრივ, სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლების პროფესიული გადამზადების პარალელურად, არსებითად მნიშვნელოვანია სექსუალური შევიწროების საკითხებზე ინდივიდუალური მოსამართლეების პროფესიონალიზმის გაძლიერება. შესაბამისი აქტორების პროფესიონალიზმის განგრძობით რეჟიმში ზრდამ ხელი უნდა შეუწყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] პრიმა მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე რეაგირებას, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად.

ამასთან, მნიშვნელოვანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, როგორც სექსუალური შევიწროების შემადგენელ ელემენტებზე, ასევე, ამ სამართალდარღვევაზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე.

ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარმოებულ საქმეებში ვლინდება საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურისა და ინდივიდუალური მოსამართლეების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება სისხლის სამართლის საქმეებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის სათანადო იდენტიფიცირებასა და გამოვლენასთან მიმართებით.

## ამოცანა 5

სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობა.

[44] იქვე.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ეთნიკური უმცირესობები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მუნიციპალური ვებგვერდების უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე ხელმისაწვდომობის ადვოკატირება;
ii. უმცირესობების რელიგიური/ეროვნული დღესასწაული/ების ოფიციალურ დასვენების დღედ გამოცხადების საკითხის ადვოკატირება.

**დასაბუთება**

ეთნიკური უმცირესობების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის მიზანი რომ მიღწეული არაა ამას ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წელი) მონიტორინგის ანგარიშის გადაკითხვაც და უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მუნიციპალურ ვებ გვერდებზე შესვლაც ცხადყოფს.[45] დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობისშესახებ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის მიხედვით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წინაშე მეტწილად, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხებია გამოწვევა. ანგარიში, ასევე, ხაზს უსვამს უმცირესობებში საჯარო სერვისების, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების თაობაზე სათანადო ინფორმირების ნაკლებობას.[46]

**ამოცანა 6**

სახელმწიფო სერვისების დაგეგმვისა და მიწოდების პროცესში ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობს მქონე პირების საჭიროებების გათვალისწინება თანასწორობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით;

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები

**აქტივობა/შინაარსი**

i. რეკვალიფიკაციის პროგრამებში ჩართვა;
ii. ჩართულობა საჯარო სამსახურებში;
iii. ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**დასაბუთება**

მისასალმებელია სტრატეგიულ პრიორიტეტებში გაწერილი მიკრო თუ მცირე მეწარმეების ბიზნეს იდეის რეალიზების მიზნით გათვლილი სამომავლო აქტივობები-ღონისძიებები (თუ

[45] იქვე.
[46] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf, [25.07.2023].

გავითვალისწინებთ ეთნიკური უმცირესობების უმეტესი ნაწილის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მოღვაწეობის გარემოებას), თუმცაღა კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ეთნიკურად უმცირესობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მათი დასაქმება საჯარო სფეროში, განსაკუთრებით ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია და სოციალური გარიყვა.

**ამოცანა 7**

თანასწორობის უფლების რეალიზების უზრუნველყოფა უმცირესობათა ჯგუფებისთვის, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, შშმ პირთა თანასწორობის უფლების რეალიზებისათვის.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები; ეთნიკურად ოსი მოქალაქეები.

**აქტივობა/შინაარსი**

i. ეთნიკური უმცირესობების თანასწორობის უფლების დაცვის მიზნით ჩამოყალიბდეს პრობლემის მარეგულირებელი მექანიზმი. საერთაშორისო დოკუმენტებიდან ნაკისრი ვალდებულებების საფუძველზე რელევანტურ ვადებში, ასევე, თანასწორ/თანაბარ პირობებში კონცენტრირება გადატანილი იქნას უმცირესობათა საჭირო დოკუმენტების/მოქალაქეობის უზრუნველყოფა-მინიჭებისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებაზე;
ii. საკანონმდებლო ცვლილებები ქონებრივი რესტიტუციისა და ქონებრივი ზიანის კომპენსირების დეკლარირებული მიზნით.

**დასაბუთება**

წლების განმავლობაში ეთნიკურ უმცირესობებში მრავალ დამაბრკოლებელ ბარიერზე დაყრდნობით (იგულისხმება, ენობრივი ბარიერი, სამართლებრივი რეგულაციების უუნარობა, საერთო პოლიტიკის არ არსებობა თუ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გართულებული/ხშირ შემთხვევაში მიუღწეველი მონაცემები), ცხადია, სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმის საჭიროება და აუცილებლობა, რომელიც გამოეხმაურება თანაბარ უფლებებზე ხელმისაწვდომობასა და სამოქალაქო პოლიტიკაში სრულფასოვნად ჩართულობას, აღნიშნულით იგულისხმება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები ეთნიკურად ოსი მოსახლეობისთვის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურების გასამარტივებლად. ამასთანავე, გასათვალისწინებელია კონფლიქტის საფუძველზე მიტოვებული უძრავი ქონება და შესაბამისი ზიანის კომპენსაცია, რაც რიგით საკანონმდებლო ცვლილებებსა და შესაბამისი კომისიის შექმნაზეა დამოკიდებული.

## ბავშვის უფლებები

### ამოცანა 1

ბავშვთა მიმართ ძალადობაზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირებისა და პრევენციის მექანიზმების გაძლიერება, მათ შორის, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნის ხელშეწყობით.

### თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა

ძალადობის მსხვერპლი ბავშვები

### აქტივობა/შინაარსი:

i. ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით სახელმწიფოს მუშაობის გაგრძელება, მათ შორის, ცენტრების რაოდენობის გაზრდა;

ii. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მექანიზმის ეფექტიანი აღსრულება, მათ შორის, ამ მექანიზმში ჩართული უწყებების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება და თანმდევი მონიტორინგის განხორციელება;

**iii.** ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის განათლების მიღების უზრუნველყოფა და ძალადობის მსხვერპლი დედის ინიციატივით ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადაყვანის (მობილობის) პროცესში დაბრკოლებების შექმნის პრევენცია.

### დასაბუთება

ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირება უწყებების მხრიდან კოორდინირებულად უნდა განხორციელდეს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ამ პროცესში ჩართული უწყებების პროფესიონალიზმის გაზრდა. გამოძიების დაწყების პარალელურად, არსებითად მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებებმა არასრულწლოვანები უზრუნველყონ უფასო მხარდამჭერი სერვისებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, განგრძობითი ფსიქოლოგიური დახმარებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა უკავშირდება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, ძალადობრივი გარემოდან იზოლირების მიზნით, ძალადობის მსხვერპლ დედას ორგანიზაციის მხარდაჭერით კიდევ ერთი სამართალწარმოების დაწყება დასჭირდა, იმისათვის, რომ მოძალადე მამის თანხმობა არ ყოფილიყო სავალდებულო არასრულწლოვანის ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადაყვანის პროცესში.[47]

### ამოცანა 2

ბავშვების დაცვა სექსუალური ძალადობისგან.

### თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა

[47] აღნიშნულ საქმეს ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ აწარმოებდა. იხილეთ ინფორმაცია: https://m.facebook.com/rights.ge/photos/pb.100064250006495.-2207520000./8789913451026254/?type=3&__rdr, [25.07.2023].

i. ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ინტეგრირება ერთიან ეროვნულ სასაწავლო გეგმაში;
ii. სპორტში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების კურიკულუმის შექმნა მასწავლებლებისთვის;
ii. მასწავლებელთა გადამზადება;
iii. შესაბამისი სახელმძღვანელოს შემუშავება;
iv. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ბრძანების გამოცემა ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში დანერგვის შესახებ;
v. სპორტში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისგან დაცვის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა;
vi. სპორტის სფეროში ბავშებთან მომუშავე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის შემუშავება და სპეციალისტთა გადამზადება.

**დასაბუთება**

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების არ არსებობის პირობებში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის განხორციელების რისკი მაღალია. ამავდროულად, მაღალია მაჩვენებელი ბავშვებში მშობიარობისა და აბორტის შემთხვევათა. ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების დანერგვა ხელს შეუწყობს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციას, ასევე, შეამცირებს აბორტის შემთხვევებს და ბავშვების მხრიდან სარისკო სექსუალურ ქცევებს.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის მაღალი რისკები არსებობს სპორტში, სადაც ამ დრომდე არ არის შემუშავებული რეგულაციები ბავშვთა დაცვის მიზნით და ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები არ ექვემდებარებიან სავალდებულო ლიცენზირებას და არ აქვთ გავლილი სპეციალური სწავლება ბავშვთა უფლებებში.

## გენდერული თანასწორობა, ქალთა უფლებები და ბრძოლა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

**ამოცანა 1**

i. ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება, მათ შორის, თანასწორი გარემოს განმტკიცების გზით;
ii. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვის და პრევენციული მექანიზმების გაძლიერება;

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ფართო საზოგადოება; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები, არასრულწლოვნები.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. ქალთა ეკონომიკური საჭიროებების სიღრმისეული კვლევა და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომით ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
ii. სასამართლო სისტემის, სამართალდამცავი სისტემისა, პროკურატურისა და ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლების, ასევე, სოციალური მუშაკებისთვის ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის საკითხებზე სისტემატური და სავალდებულო გადამზადება, გენდერულად მგრძნობიარე სამუშაოს შესრულების მიზნით;
iii. ჟურნალისტების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის საკითხებზე, ინფორმაციის გაშუქების მინიმალურ სტანდარტებთან დაკავშირებით;
iv. შემაკავებელი ორდერის ეფექტურობის კვლევა და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომით ორდენის გამცემი ორგანოს თანამშრომელთა სავალდებულო გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის საკითხებზე;
v. ფემიციდის ფაქტების ინდივიდუალური კვლევა შემდგომში არსებული პრევენციის მექანიზმების შეფასების და მოდიფიკაციის მიზნით;
vi. სსსკ-ის 137 მუხლის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა;
vii. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის ყოველმხრივ განხილვა, ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა განხილვის პროცესში და მისი დამტკიცება;
viii. სამართალდამცავი სისტემისა და ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლების, ასევე, სოციალური მუშაკებისთვის ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციის, გამოვლენის, მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციის საკითხებზე სისტემატური და სავალდებულო გადამზადება;
ix. განგრძობად და სისტემატურ რეჟიმში ძალადობის მსხვერპლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, ადვილად ხელმისაწვდომი და მარტივად გასაგები ფორმით ინფორმაციის გავრცელება;
x. საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისა და მიღების შედეგად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილების მინიჭება;
xi. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევების, რამაც განაპირობა მსხვერპლის გარდაცვალება, სისტემური შესწავლა, მათ შორის, სახელმწიფო უწყებების მხრიდან ძალადობაზე/წინარე ძალადობაზე რეაგირების კუთხით გამოწვევების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით;
xii. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $151^1$ მუხლის (ადევნება) შესაბამისობაში მოყვანა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან;
xiii. სისხლის სამართლის კოდექსის დებულებების, რომლებიც ეხება გაუპატიურებას და სექსუალურ ძალადობას ცვლილება და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა;

xiv. იძულებით აბორტის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯად ქმედებად განსაზღვრა;

xv. სამართალდამცავ უწყებებში ქალი თანამშრომლების, მათ შორის, გამომძიებლების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა;

xvi. სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტიზის განმახორციელებელ დაწესებულებებში ქალი ექსპერტების რაოდენობის გაზრდა და მსხვერპლთა, მათ შორის არასრულწლოვანთა, მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციისათვის სათანადო გარემოს უზრუნველყოფა;

xvii. პროკურორების გადამზადება საპროკურორო საქმიანობის განხორციელებისას ძალადობის მსხვერპლი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის საკითხებზე, რომელიც მოიცავს სასამართლოს შენობასა და სხდომის დარბაზში დაზარალებულის უსაფრთხოდ შეყვანის, დისტანციურად ან ბრალდებულის დაუსწრებლად დაკითხვის შესაძლებლობას, დაზარალებულის მიმართ არარელევანტური/შეურაცხმყოფელი კითხვების დასმის აცილებასა და სხვა;

xviii. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების რაოდენობის გაზრდა და ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებში კოორდინატორების ჩართულობის პრაქტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესება;

xix. ალიმენტის დაკისრების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების კუთხით არსებული გამოწვევების სიღრმისეული შესწავლა და გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ თანმდევი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება.

**დასაბუთება**

შემოთავაზებული აქტივობები ეფუძნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობაში გამოვლენილ გამოწვევებს, ორგანიზაციების ექსპერტთა სამუშაო და პრაქტიკულ გამოცდილებას, ამასთან, აქტივობების ნაწილი ეფუძნება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის („გრევიო“)-ს მიერ საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებს, ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად.

**ამოცანა 2**

გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება; მსხვერპლთა დაცვის და რეაბილიტაციის მექანიზმების გაძლიერება და თავშესაფრის ხელმისაწვდომობა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ძალადობის მსხვერპლი ქალები, ლგბტქი; არასრულწლოვნები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. მოძალადეების ძალადობრივი ქცევის კორექციის არსებული პროგრამების შეფასება, რამდენად შეესაბამება პროგრამა არსებულ საჭიროებებს, რამდენადაა ის შედეგზე

ორიენტირებული და გაზომვადი, არსებული პროგრამების გაუმჯობესება კვლევაზე/საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომით;

ii. ძალადობის მსხვერპლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების ეფექტიანობის/ხელმისაწვდომობის შესწავლა/ანალიზი და გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ სერვისების განახლება/გაფართოება;

iii. ძალადობის მსხვერპლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების და ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ერთიანი სტრატეგიის განსაზღვრა, სტრატეგიის შემუშავებაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა;

iv. თავშესაფრების კვლევა, რამდენად შეესაბამებიან ისინი არსებულ საჭიროებებს, თავშესაფრების ხელმისაწვდომობის გაზრდა გენდერული ნიშნით ძალადობის ყველა მსხვერპლისათვის მათ შორის ლგბტქი თემის პირებისათვის; თავშესაფრების რაოდენობის გაზრდა და მსხვერპლებისთვის თავშესაფრებში განთავსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის, ბიუროკრატიული დაბრკოლებების მოხსნით;

v. თავშესაფარში მსხვერპლის დროული რეფერირების მიზნით, არსებულ თავშესაფრებსა და სამართალდამცავ სისტემას შორის კოორდინირების გაუმჯობესება, მათ შორის, თავშესაფრებში არსებული თავისუფალი ადგილების შესახებ ერთიანი, მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის ფორმირების გზით;

vi. თავშესაფარში მყოფი პირების დასაქმების ხელშეწყობა.

**დასაბუთება**

შემოთავაზებული აქტივობები ეფუძნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობაში გამოვლენილ გამოწვევებს, ორგანიზაციების ექსპერტთა სამუშაო და პრაქტიკულ გამოცდილებას, ამასთან, აქტივობების ნაწილი ეფუძნება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის („გრევიო“)-ს მიერ საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებს, ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად.

**ამოცანა 3**

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ქალები, ბავშვები, ფართო საზოგადოება

**აქტივობა/შინაარსი:**

i. ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით ერთიანი საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება;

ii. ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელება ქალებისა და გოგონების ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით ეროვნული ან/და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის;

iii. საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის სკოლებში ძალადობის ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე მოძალადის ქცევის შაბლონის განსაზღვრა და გაცნობა.

**დასაბუთება**

შემოთავაზებული აქტივობები ეფუძნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობაში გამოვლენილ გამოწვევებს, ორგანიზაციების ექსპერტთა სამუშაო და პრაქტიკულ გამოცდილებას, ამასთან, აქტივობების ნაწილი ეფუძნება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის („გრევიო“)-ს მიერ საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებს, ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად.

**ამოცანა 4**

ქალთა მონაწილეობის გაზრდა მშვიდობის და უსაფრთხოების დამკვიდრების პოლიტიკის განხორციელებაში.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ქალების როლი მშვიდობის და უსაფრთხოების პოლიტიკაში

**აქტივობა/შინაარსი:**

i. სერჟანტთა შემადგენლობაში ქალთა რაოდენობის გაზრდის წახალისება;

**ii.** თავდაცვის ძალების პირად შემადგენლობაში მენეჯერულ პოზიციებზე ქალთა დაწინაურების დამაბრკოლებელი საკითების კვლევა და შესაბამისი რეფორმის განხორციელება.

**დასაბუთება**

შემოთავაზებული აქტივობები ეფუძნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობაში გამოვლენილ გამოწვევებს, ორგანიზაციების ექსპერტთა სამუშაო და პრაქტიკულ გამოცდილებას.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

**ამოცანა 1**

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების ბიოფსიქოსოციალურ სისტემაზე გადასვლა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მაძიებელი პირები

**აქტივობა/შინაარსი:**

2023 წლის მარტში დამტკიცებული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის აღსრულება.

**დასაბუთება**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელი არ შეესაბამება გაეროს კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, შეფასების სისტემა არ ეფუძნება შშმ პირთა უფლებებს, სტატუსს მიღმა ტოვებს შშმ პირთა გარკვეულ ჯგუფებს და უკარგავს მათ სტატუსთან დაკავშირებული ბენეფიტებით სარგებლობის შესაძლებლობას.

**ამოცანა 2**

შშმ პირთა მისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე;

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

შშმ ბავშვებისა და შშმ პირებისთვის სათემო სერვისებით სარგებლობის უზრუნველყოფა.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელწმიფო პროგრამის ქვეპროგრამების აღსრულება/ გეოგრაფიული მისაწვდომობის უზრუნველყოფა
ii. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირება სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით

**დასაბუთება**

2023 წლიდან ცვლილება შევიდა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელწმიფო პროგრამის ქვეპროგრამაში: „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა", კერძოდ, განხორციელდა ცვლილება და ნორმატიულად გაიწერა რთული ქცევის მქონე პირებისათვის 24-საათიანი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი, თუმცა ამ დრომდე ვერ ხერხდება აღნიშნული სერვისით სარგებლობა (აღსრულება); მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ შექმნა აღნიშნული სერვისი და ნორმატიულად მოაწესრიგა, შესაბამისი პროვაიდერი ორგანიზაციების არ არსებობის პირობებში, ვერ ხდება აღსრულება და შშმ პირები დღემდე ვერ იღებენ აღნიშნულ სერვისს.

## ხანდაზმულ პირთა უფლებები

**ამოცანა 1**

ხანდაზმულ პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით ნაბიჯების გადადგმა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

**აქტივობა/შინაარსი:**

i. გადაიხედოს ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ ზღვრული ასაკი და შეესაბამებოდეს ის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ასაკის ნიშნით თანამდებობაზე წვდომის შეზღუდვასთან დაკავშირებით დადგენილ სტანდარტებს.

ii. „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ შესრულების შედეგების გაანალიზების საფუძველზე, შემუშავდეს და დამტკიცდეს დაბერების საკითხზე ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება ხანდაზმული პირების უფლებების ეფექტიან დაცვაზე;

iii. გაიზარდოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის იმ ცალკეული ქვეპროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც განკუთვნილია ხანდაზმული პირებისთვის (ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, სათემო ორგანიზაციები) და უზრუნველყოფილი იყოს მათი დროული ხელმისაწვდომობა ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე ხანდაზმულისთვის.

iv. შესწავლილ იქნეს სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებული ხანდაზმული პირების მდგომარეობა, მოახდინოს დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირება და უზრუნველყოფილი იყოს მათთვის ღირსეული პირობების შექმნა;

v. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხანდაზმულ პირთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, შემუშავდეს მიზნობრივი პროგრამები და მათ განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გამოყონ შესაბამისი ფინანსები; საჭიროების შემთხვევაში გაზარდონ ბიუჯეტი და მოიძიონ დამატებითი სახსრები.

**დასაბუთება**

2022 წელს, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების მიხედვით, გამოვლინდა ძალადობის მსხვერპლი 61+ ასაკის 323 ხანდაზმული კაცი და 813 ხანდაზმული ქალი.[48] წლების განმავლობაში უცვლელი და სისტემური ხასიათის პრობლემები დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორიცაა თავად მსხვერპლთა მხრიდან ძალადობის ფაქტის აღქმა, შესაბამისი უწყებებისადმი დაბალი მიმართვიანობა, ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის

[48] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2022, 282, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf, განახლებულია: 20.04.2023.

პროგრამების არარსებობა.[49] სახალხო დამცველის შეფასებით, პრობლემურია მათი ხანგრძლივად დაცვა ძალადობისგან და დახმარების სერვისების ამოქმედება.[50] ოჯახში ძალადობის ფაქტების ზრდის ფონზე ძალზე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საქართველოში მცხოვრები ხანდაზმულების მდგომარეობის შესწავლა – ძალადობის შემთხვევების დროული გამოვლენა და რეაგირება, ასევე მათი დეტალური ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევაში.[51]

აქვე, აღსანიშნავია, რომ გამოიკვეთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებულ ხანდაზმულთა უფლებების სისტემური დარღვევის შემთხვევები. იქ არსებულ მძიმე პირობებზე საქართველოს სახალხო დამცველი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას. 2022 წლის 17 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ერთ-ერთ სათემო დაწესებულებაში მონიტორინგი ჩაატარა,[52] რომელმაც აჩვენა, რომ იქ არსებული მდგომარეობა შემაშფოთებელია და ხანდაზმულები ღირსების შემლახველ პირობებში იმყოფებიან. იმავდროულად, ვინაიდან ეს დაწესებულება სათემო ორგანიზაციაა, სახელმწიფო პასუხისმგებელია მის მონიტორინგსა და სერვისის მიმწოდებლის მხრიდან ხანდაზმულთათვის სათანადო პირობების შექმნაზე. სპეციალიზებულ დაწესებულებებში არასათანადო პირობების არსებობა განაპირობებს ხანდაზმულ პირთა ღირსების შელახვას.[53]

## საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების დაცვა

**ამოცანა 1**

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების დაცვა .

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

[49] საიას ანგარიში, ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2022, 20, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nrMOX, [25.07.2023].

[50] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2020, 401, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf, [25.07.2023].

[51] გაეროს მოსახლეობის ფონდი, „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მარტო მცხოვრები პენსიონერების ზოგადი მდგომარეობა COVID-19-ის პერიოდში“ კვლევის ანგარიში, 2020, 9, ხელმისაწვდომია: shorturl.at/EHLS8, [25.07.2023].

[52] კახეთში, სიღნაღის რაიონში მდებარე წნორის ხანდაზმულთა სახლის ა(ა)იპ „ხანდაზმულთასავანე ბეთელი“.

[53] იხ. სახალხო დამცველის განცხადება „ხანდაზმულთა სავანე ბეთელში“ მცხოვრები ხანდაზმულების ღირსების შემლახავ პირობებში ყოფნასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2022 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია: shorturl.at/FQW49, [25.07.2023].

[პოტენციური] თავშესაფრის მაძიებლები, საქართველოში საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირები; პირები, რომელთაც გაუუქმდათ, შეუწყდათ ან ჩამოერთვათ საერთაშორისო დაცვა.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. საქართველოში საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭებისა და შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების დეცენტრალიზაცია; კერძოდ, სახელმწიფო უზრუნველყოფს თავშესაფრის პროცედურის გარკვეული საფეხურების (მაგ. თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრება), ისევე, როგორც შესაბამისი დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის მოთხოვნის/აღების პროცედურების მინიმუმ ბათუმსა და ქუთაისში ორგანიზების უზრუნველყოფას.

ii. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან დანერგილი ახალი ვებგვერდის (https://migration.police.ge/login) ინტერაქციულ ვებგვერდად ადაპტირების უზრუნველყოფა, რომლის გამოყენებითაც თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილებს, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს, ისევე როგორც პირებს, რომლებსაც ჩამოერთვათ, გაუუქმდათ ან შეუწყდათ საერთაშორისო დაცვა, შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ ისეთი ქმედებები, როგორიც არის მაგალითად მათი სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ოფიციალურად მოთხოვნა, საკუთარი მისამართის ცვლილების სამინისტროსთვის შეტყობინება და სხვა.

**დასაბუთება**

მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე ჯგუფის წევრები შესაძლოა, საქართველოს ნებისმიერ წერტილში ცხოვრობდნენ, თავშესაფრის პროცედურები სრულად არის კონცენტრირებული თბილისში და მხოლოდ დედაქალაქში არის შესაძლებელი როგორც გასაუბრების ჩატარება, ისე მაგალითისთვის, სტატუსის დამადასტურებელი ცნობის აღება. ამასთან, შესაბამისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღება ბენეფიციარს მხოლოდ თბილისში ადგილზე პირადად გამოცხადებით შეუძლია. ეს ყოველივე დამატებით და ხშირად არარეალისტურად მძიმე ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს ბენეფიციარებისთვის. ამდენად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების გზით აქტიურად დაიწყონ დეცენტრალიზაციის პროცესი.

ამასთან, მიგრაციის დეპარტამენტის ახალი ვებგვერდის ადაპტირება და მისი პრაქტიკული დანიშნულებით ინტერაქციულად ქცევა დამატებით შეუწყობს ხელს მითითებული სამიზნე ჯგუფებისთვის ფინანსური თუ დროის რესურსის დაზოგვას და შესაბამის პროცედურებს გაცილებით ხელმისაწვდომად აქცევს.

**ამოცანა 2**

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების დაცვა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფა საქართველოს საინტეგრაციო პოლიტიკის შესაბამისად და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა.

**აქტივობა/შინაარსი:**

თავშესაფრის მაძიებლებისთვის ქვეყანაში დამატებითი მიმღები ცენტრის დაფუძნება, რომელშიც შესაძლებელი იქნება ბენეფიციართა განთავსება მათთვის თავშესაფრის მინიჭების საკითხის გადაწყვეტამდე.

**დასაბუთება**

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი თავშესაფრის მაძიებლებს ანიჭებს მიმღებ ცენტრში უფასოდ განთავსების უფლებას ვიდრე არ მოხდება მათთვის თავშესაფრის მინიჭების საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, ამ უფლების პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყოველ კონკრეტულ მომენტში, მიმღებ ცენტრში არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედებს მარტყოფის მიმღები ცენტრი, თუმცა  მასში ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობა არის მნიშვნელოვნად შეზღუდული და ადეკვატურად ვერ უზრუნველყოფს არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას. შესაბამისად, „უფლებები საქართველოსთვის“ ბენეფიციართა მომართვიანობიდან დაიდენტიფიცირდა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ხშირია მაძიებლებისთვის განთავსებაზე უარის თქმა სწორედ არასაკმარისი ადგილების გამო.

**ამოცანა 3**

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების დაცვა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

თავშესაფრის მაძიებლები, უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები

**აქტივობა/შინაარსი:**

i. სასაზღვრო პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელთა გადამზადება და პროფესიონალიზმის მუდმივ გაუმჯობესებაში ხელშეწყობა, რათა მათი მხრიდან მოხდეს საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტთან მოსული უცხოელისა თუ მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ თავშესაფრის მინიჭების საჭიროების დროული იდენტიფიცირება და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტთან ეფექტიანი რეფერირების მექანიზმის პრაქტიკული რეალიზაცია;
ii. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დეტალურად გაიწეროს საქართველოს საზღვრის უკანონოდ კვეთისთვის შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრინციპის პროცედურული აღსრულების მექანიზმები მაშინ, როდესაც აღნიშნულ დასჯად ქმედებას უცხოელი/მოქალაქეობის არმქონე პირი ახორციელებს საქართველოში თავშესაფრის ძიების მიზნით;

iii. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ასახული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრინციპის გარანტიის გავრცელება უცხოელებზე/მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს საზღვარს კვეთენ არა უშუალოდ მათი წარმოშობის ქვეყნიდან, არამედ მესამე ქვეყნის გავლით, თუმცა ეს უკანასკნელი მათთვის ასევე არ და ვერ ჩაითვლება უსაფრთხოდ;

**დასაბუთება**

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მართალია ითვალისწინებს უმნიშვნელოვანეს პრინციპსა და გარანტიას, რასაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმნის, თუმცა მის პრაქტიკულ რეალიზაციაში არაერთი გამოწვევა ვლინდება. ზემოთ მითითებული აქტივობების აუცილებლობა ეყრდნობა არა მხოლოდ „უფლებები საქართველოს“ პრაქტიკაში იდენტიფიცირებულ საკითხებს, არამედ, აგრეთვე სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალურ თემატურ ანგარიშში გამოკვეთილ მიგნებებს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნებისმიერ სახელმწიფო საზღვარზე პირველადი გასაუბრების დროს პირის მიერ თავშესაფრის ძიების საკითხის იდენტიფიცირება და მისი დროული გადამისამართება შესაბამის უწყებებში. ამისთვის კი სწორედ შსს-ს უფლებამოსილ თანამშრომელთა მაღალი პროფესიული მომზადება არის აუცილებელი. ამასთან, ბუნდოვანია, თუ როგორ უნდა ხდებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან პირის გათავისუფლების პრინციპის პროცესუალურად აღსრულება. კერძოდ, რა საკანონმდებლო საფუძველი უნდა დაედოს ამ დროს დევნის შეჩერებას/შეწყვეტას. ამდენად, აუცილებელია ამ კუთხით შესაბამისი საკანონმდებლო სივრცის დახვეწა.

**ამოცანა 4**

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების დაცვა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

თავშესაფრის მაძიებლები, ბინადრობის ნებართვისა და საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების პროცედურაში მყოფი უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

**აქტივობა/შინაარსი**

უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭებაზე, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე, ან საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით უარის თქმის შემთხვევაში, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უზრუნველყოფილ იქნეს კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმუმ იმ კონკრეტული საფუძვლის მითითება, რომელმაც ამგვარი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა;

**დასაბუთება**

საქართველოში ნებისმიერი სახის ბინადრობის ნებართვის, საერთაშორისო დაცვის სტატუსისა თუ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებაზე უარის თქმის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ საფუძველს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის ვარაუდის არსებობა წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ, ეყრდნობა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნას და მისი შინაარსი არის სრულიად საიდუმლო. იმავდროულად, თითოეულ ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში, კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ ზოგადად რა სახის ქმედება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად. მაშინ, როდესაც ზოგადად გასაგებია სახელმწიფოს ინტერესი კონკრეტული პირის მიმართ არსებული დასკვნისა თუ მტკიცებულებების გასაიდუმლოების, დაცვის უფლების და საბოლოოდ, სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლების სრულყოფილი რეალიზებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ზოგადი სახით მაინც მიეწოდოს განმცხადებელს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა გახდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

## ამოცანა 5

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების დაცვა

### თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა

თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები

### აქტივობა/შინაარსი:

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ფუნდამენტური შესწავლა, მასში იმგვარი საკითხების იდენტიფიცირება, სადაც არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მდგომარეობა, მათი შეზღუდული კავშირის შესაძლებლობა წარმოშობის (დევნის) ქვეყანასთან და ამ ქვეყანაში დამკვიდრებული ნორმები, რომლებიც, მათ შორის, შესაძლოა ტრადიციული სამართლის ნორმებიდან მომდინარეობდეს.

### დასაბუთება

მიუხედავად იმისა, რომ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ნებისმიერ თავშესაფრის მაძიებელსა თუ საერთაშორისო დაცვის მქონე პირს ანიჭებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის თუ მათში ცვლილების შეტანის უფლებას, ხშირად დასახელებული ადამიანები პრაქტიკულ პრობლემებს აწყდებიან, რომელიც სწორედ მათი სტატუსიდან მომდინარეობს. მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელი და კანონმდებლობით პირდაპირ აკრძალულია წარმოშობის ქვეყანაში გამგზავრება, თუმცა გარკვეულ მოქმედებათა რეგისტრაციისთვის მათ კანონმდებლობით ცვლილების შეტანა სააქტო ჩანაწერში მოეთხოვებათ, რაც მათთვის ობიექტურად შეუსრულებელ ტვირთს წარმოადგენს. ამგვარია მდგომარეობა მაგალითად სქესის შეცვლის შემთხვევაში, როდესაც ბენეფიციარი იძულებულია წავიდეს საკუთარ ქვეყანაში (სადაც ხშირ შემთხვევაში, სწორედ მისი გენდერული იდენტობის გამო იდევნება) და იქ მოითხოვოს ამ ცვლილების განხორციელება. ეს არის მხოლოდ ერთი მაგალითი, რომლის მსგავსიც არაერთი მოიძებნება კანონმდებლობაში. შესაბამისად, სახელმწიფომ აუცილებელია გაითვალისწინოს ამ

ადამიანების სამართლებრივი სტატუსიდან მომდინარე სპეციფიკა, რომელიც საბოლოოდ მათთვის ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობაში წარმოადგენს დაბრკოლებას და შესაბამისი პროცედურული წესების ადაპტირება მოახდინოს არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე.

## ამოცანა 6

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების დაცვა

### თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა

თავშესაფრის მაძიებლები, საერთაშორისო დაცვის მქონე პირები; უცხოელები, მოქალაქეობის არმქონე პირები

### აქტივობა/შინაარსი:

i. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს დეტალიზებული სტატისტიკის წარმოება და მისი პერიოდული პროაქტიული გამოქვეყნება თავშესაფრის მოთხოვნის საფუძვლების ჩაშლითა და მათზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების ასახვით, როგორც მინიმუმ იმ მოთხოვნებთან მიმართებით, რომელიც შეეხება გენდერთან დაკავშირებულ დევნას, მათ შორის, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებასა თუ იძულებით ქორწინებას.

**ii.** საქართველოს საზღვრის კვეთაზე უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“ უარის თქმის დროს უზრუნველყოფილ იქნეს მისთვის შესაბამისი წერილობით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება, სადაც აღნიშნული იქნება, თუ კონკრეტულად კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელი მოთხოვნის დარღვევა დაედო საფუძვლად ამგვარ უარს.

### დასაბუთება

შემოთავაზებული აქტივობა (I) გამომდინარეობს სტამბოლის კონვენციის საფუძველზე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებიდან, ისევე, როგორც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) მიერ გამოქვეყნებული სტამბოლის კონვენციის შესრულების ანგარიშის მიგნებებსა და შესაბამისი რეკომენდაციიდან.

უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებით ხშირია უცხოელებისა თუ მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის უფლების აკრძალვა იმ საფუძვლით, რომ ეს უკანასკნელნი ვერ აკმაყოფილებენ კანონმდებლობის სხვა მოთხოვნებს. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფლებამოსილი პირების მიერ მოხდება წერილობითი გადაწყვეტილების პირისთვის ჩაბარება, ეს უკანასკნელი არ მოიცავს იმ კონკრეტული საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერას, რომელიც დაარღვია საქართველოში შემოსვლის მსურველმა პირმა. ამ დროს კი მას, ერთი მხრივ, არ გააჩნია საკუთარი უფლებების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობა ვინაიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაშიც კი (რომელიც თავისთავად არის არაეფექტიანი მექანიზმი პროცედურული თვალსაზრისით და ამ

პროცედურების ხანგრძლივობიდან გამომდინარე) იგი ვერ შემოვა ქვეყანაში, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ ბუნდოვანი საფუძვლით უარი ეთქმებათ ადამიანებს, რომელთაც ყველა დოკუმენტაცია გააჩნიათ წესრიგში და რეალურად არ არსებობს ობიექტური საფუძველი მათთვის უარის თქმის. ამდენად, მათთვის უცნობია მოთხოვნის უარყოფის კონკრეტული საფუძველი. ამ საკანონმდებლო ჩანაწერის დამკვიდრებული ფორმით გამოყენება უფლებამოსილ პირებს აძლევს გაუმართლებელი დისკრეციისა და არათანასწორი მოპყრობის შესაძლებლობას.

## ამოცანა 7

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების დაცვა.

### თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა

გაეროს ლტოლვილთა გლობალური ფორუმის ფარგლებში აღებულ ვალდებულებათა შესრულება, მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შესამცირებლად და მათი უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

### აქტივობა/შინაარსი:

i. მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებლის სამართლებრივი სტატუსი და შესაბამისად, საქართველოში კანონიერად ყოფნის უფლება გავრცელდეს აგრეთვე პირებზე, რომელთაც ხსენებული სტატუსის მინიჭებაზე ეთქვათ უარი, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს ეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრებულია სასამართლოში და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში.

ii. სახელმწიფომ უზრუნველყოს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესაბამისი ცვლილებით საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული იმ ბავშვებისთვის საქართველოს მოქალაქეობის კანონის მოქმედების ძალით მინიჭება, რომლებიც სხვაგვარად იქნებიან/დარჩებიან მოქალაქეობის არმქონენი.

### დასაბუთება

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა პირს, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე ანიჭებს ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარის თქმის გადაწყვეტილების მომენტიდან მას აღარ გააჩნია საქართველოში ლეგალურად ყოფნის კანონისმიერი საფუძველი. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ადამიანისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ფლობას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა მისი საბაზისო უფლებებისა თუ შესაძლებლობების რეალიზებისთვის. მოცემულ შემთხვევაში კი, პირი იძულებული ხდება არჩევანი გააკეთოს ქვეყნის დატოვებასა (შესაბამისად კი, მისი სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობასა) და ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე ცხოვრებას შორის, რაც სრულიად დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში.

შემოთავაზებული აქტივობა (ii) ეყრდნობა საქართველოს სახელმწიფოს მიერ „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაერთიანებული ერების 1961 წლის კონვენციით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულების საჭიროებას.

## პრიორიტეტი IV - რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

---

### საოკუპაციო ხაზის მიმდებარე / კონფლიქტის რეგიონების სოფლებში მცხოვრებ პირთა უფლებები

**ამოცანა 1**

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**თემა და/ან ჯგუფი, რომელსაც ეხება ამოცანა**

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე / და კონფლიქტური რეგიონების სოფლებში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის, ჯანმრთელობის, განათლების, ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი საჭიროებების გათვალისწინებითა და ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების გზით.

**აქტივობა/შინაარსი:**

i. მოქალაქეების თავისუფლებისა და უსაფრთხოების, გადაადგილების უფლების დარღვევებთან დაკავშირებით ჩატარდეს ეფექტური გამოძიება, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონფლიქტით დაზარალებულ ზონაში მცხოვრებთა უსაფრთხოება.
ii. უზრუნველყოფილ იქნას:
    - სამედიცინო ობიექტების გახსნა და პერსონალით დაკომპლექტება;
    - საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება;
    - სასმელი და სარწყავი წყლის სისტემის მოწესრიგება/რეაბილიტაცია;
    - დაზიანებული გზების  რეაბილიტაცია;
    - გამყოფ ზოლზე მონიტორინგის გაძლიერება ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით.

iii. საქართველოს სახელმწიფოებრივ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომი მომსახურეობების ეფექტური შეთავაზება/მიწოდება. კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, მიიღონ სახელმწიფოს სოციალური და ჯანდაცვის განვითარების პროგრამებიდან შეღავათები და უპირატესობები.

**დასაბუთება**

საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას უწევს მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრება, რაც, ერთი მხრივ, იწვევს ტერიტორიების დაცარიელებას / იმიგრაციას, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური უფლებების უგულვებელყოფას. იგულისხმება, მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის სამედიცინო მომსახურეობის დეფიციტი, გაუმართავი სატრანსპორტო და საგზაო სისტემა; სასმელად და სარწყავად უვარგისი წყალი, ამასთანავე, ბორდერიზაციის/მცოცავი ოკუპაციის პროცესში დაკარგული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, რომელთა კომპენსაციაც ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან დღემდე არ განხორციელებულა. შესაბამისად, საჭიროებათა ზოგადი კლასიფიკაცია ცხადყოფს ვალიდური პროგრამების შექმნასა და მათ გაწერაში თვით მოსახლეობის მხრიდან ჩართულობას.

ეროვნულ სტარტეგიაში არ ვლინდება კონფლიქტურ-ოკუპირებულ ტერიტორიებსა თუ რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებებით უზრუნველყოფა. იმ ფონზე, როცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას უწევს პერმანენტულად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენისა და შეურაცხმყოფელი ზეგავლენის ქვეშ ცხოვრება ეროვნული სტრატეგია არ მოიცავს პრიორიტეტებსა და ამოცანებს, რომლებიც გამოეხმაურებოდა მათთვის საქართველოში გარკვეული შეღავათების შემუშავებასა და ყოფის შემსუბუქებას.

## V. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სტრატეგიაში

---

### უსახლკარობის პრევენცია

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული უსახლკარო პირის დეფინიცია მიმართულია პირის საცხოვრებლის ფიზიკურ განზომილებაზე, რაც გამორიცხავს სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზების სოციალურ და სამართლებრივ მხარეს. ამგვარად, უსახლკარობის განმარტების დროს უგულებელყოფილია პირის უფლება სათანადო საცხოვრებელზე. არ არის წარმოებული კვლევები უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებთან და მის მასშტაბებთან დაკავშირებით.[54] საკანონმდებლო რეგულაციები და სასამართლო განმარტებები მწირია, რაც პრაქტიკაში უსახლკარო პირების მდგომარეობის გართულებას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია:

[54] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ .241 ხელმისაწვდომია: ბმულზე, [25.07.2023].

i. საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდეს უსახლკარო პირის ცნება ისე, რომ ჰარმონიზაციაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ პრინციპებთან;
ii. მოხდეს სათანადო საცხოვრებლის უფლების საკანონმდებლო რეგულირება;
iii. დაიწყოს ქვეყანაში სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა უსახლკარობის გამომწვევი მიზეზებისა და მასშტაბების დადგენის მიზნით;
iv. გაკონტროლდეს სოციალური საცხოვრისის მინიმალური მოწყობის სტანდარტები. ხოლო, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ობიექტებში მცხოვრები პირებს მიეცეთ ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილები;
v. შემუშავდეს უსახლკარობასთან ბრძოლის ეროვნული, ერთიანი პოლიტიკა;
vi. შეიქმნას უსახლკარო პირებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში განსახლებისკენ მიმართული პროგრამები;
vii. დაიგეგმოს საერთაშორისო კანონმდებლობის რატიფიკაციისთვის გადასადგმელი ნაბიჯები.

## ლგბტქი საკითხები ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმაში

წინამდებარე დოკუმენტის ზემოთ მოცემულ სხვადასხვა ამოცანასთან დაკავშირებით, ასევე, წარმოდგენილია ლგბტქი საჭიროებები. დამატებით, ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია საკვანძოდ მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით.

**1. ლგბტქი სათემო ორგანიზაციების და სხვა აქტივისტური ჯგუფების მიერ ორგანიზებული მშვიდობიანი შეკრებების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა**

ლგბტქი სათემო ორგანიზაციებისთვის კვლავ ყველაზე მწვავე გამოწვევას წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა საჯარო სივრცეში. ცალკეული სათემო ორგანიზაციები ვერ ახერხებენ უსაფრთხოდ შეიკრიბონ და აღნიშნონ ჰომოფობიის, ბიფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე (IDAHOT)[55] ან ჩაატარონ ღირსების მარში პრაიდ კვირეულის ფარგლებში.[56] ლგბტქი ადამიანების გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2012-2013 წლებში სხვადასხვა ძალადობრივი და ექსტრემისტული ჯგუფების მიერ განხორციელებული დანაშაულების, სახელმწიფოს უმოქმედობის და ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიების გამო, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ორჯერ დაადგინა კონვენციის სხვადასხვა მუხლების დარღვევა,[57] თუმცა გადაწყვეტილებები ამ დრომდე

[55] იხილეთ „კოალიცია თანასწორობისთვის“ განცხადება აქ: http://equalitycoalition.ge/article/33, [25.07.2023].
[56] იხილეთ „თბილისი პრაიდის“ განცხადება აქ: https://formulanews.ge/News/71662, [25.07.2023].
[57] იხილეთ ევროპული სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილება საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3032951?publication=0 და 2022 წლის გადაწყვეტილება საქმეზე „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5443506?publication=0, [25.07.2023].

აღუსრულებელი რჩება[58] და 2022 წელს ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთი საქართველოდან გაგზავნილი საჩივარი მიიღო, რომელიც „თბილისი პრადის“ მიერ ორგანიზებული „ღირსების მარშის“ ორგანიზატორებისა და ლგბტქი აქტივისტების წინააღმდეგ მიმართულ ფართომასშტაბიან ძალადობას ეხება.[59]

**2. ტრანს ადამიანების პირადი ცხოვრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა და მათი გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია**

გენდერის სამართლებრივი აღიარება საქართველოში მცხოვრები ტრანს ადამიანებისთვის უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ისინი ვერ ახერხებენ სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილებას მათი გენდერული იდენტობის შესაბამისად. ტრანს ადამიანების გენდერის სამართლებრივი აღიარების პროცედურა საქართველოში სამართლებრივად დაურეგულირებელია. არსებობს მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს ეყრდნობა.[60] 2022 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა დაადგინა სამი ტრანსი კაცის მიმართ, რომელთაც ვერ შეძლეს სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება მათი გენდერული იდენტობის შესაბამისად.[61] სასამართლომ სახელმწიფოს მოუწოდა, რომ შექმნას გენდერის სამართლებრივი აღიარების სწრაფი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურა.[62]

**3. მსხვერპლზე-ორიენტირებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა ნებისმიერი სახის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლებისთვის**

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე, განსაკუთრებით სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ან გამოხატვის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებრივ აქტებზე ეფექტიანი რეაგირება კვლავ გამოწვევას წარმოადგენს.[63] აღნიშნულს, პირველ რიგში, განაპირობებს მსხვერპლების მიერ სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვიანობის პრობლემა.[64] სათემო ორგანიზაციები ჯერ კიდევ 2018 წლიდან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ადამიანების დაცვისა და დახმარებისათვის იყენებენ მსხვერპლზე-ორიენტირებულ მიდგომას, რაც გამოიხატება მათი პირველადი საჭიროებების შეფასებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სპეციალისტების ჩართვის

[58] იხილეთ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) ერთობლივი ანგარიში მინისტრთა კომიტეტის წინაშე: https://wisg.org/ka/news/detail/364/wisg-ma-gyla-stan-da-ehrac-tan-ertad-evropis-sabchos-ministrta-komitets-angarishi-tsarudgina, [25.07.2023].

[59] იხილეთ აქ: https://tbilisipride.ge/ka-GE/News/Details/155, [25.07.2023].

[60] ბახტაძე ქ. „გენდერის სამართლებრივი აღიარება საქართველოში - პოლიტიკის დოკუმენტი“, WISG, 2022, 14. იხილეთ აქ: https://wisg.org/ka/publication/294, [25.07.2023].

[61] იხილეთ აქ: https://wisg.org/ka/publication/303, [25.07.2023].

[62] იქვე, პარაგრაფი 73.

[63] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, 181, იხილეთ აქ: https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf, [25.07.2023].

[64] აღდგომელაშვილი ე. „COVID-19-ის გავლენა ლგბტქი თემზე“, WISG, 2022, 141, იხილეთ აქ: https://wisg.org/ka/publication/296/, [25.07.2023].

უზრუნველყოფაში.[65] საქართველოს პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მრავალი წელია არსებობს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახური, თუმცა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გარდა, ძალადობაგამოვლილი ადამიანები მრავალ სხვა სერვისს საჭიროებენ.[66] სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სერვისები ამ დრომდე არ არსებობს და კოორდინატორები სერვისებისთვის ხშირად მომართავენ ლგბტქი სათემო ორგანიზაციებს, თუმცა ორგანიზაციების ბაზაზე არსებული სერვისები მხოლოდ ლგბტქი ადამიანებისთვის არის ხელმისაწვდომი და ამავდროულად შეზღუდულია.

[65] ბახტაძე ქ. „ინტერსექციური დისკრიმინაცია და ლგბტი ადამიანები - სამართალწარმოების ანგარიში“, 2018, WISG, 24. იხილეთ აქ: https://wisg.org/ka/publication/184, [25.07.2023].
[66] იქვე, 23.